ინტეგრირებული მასწავლებელი

N1'2023

ISSN 2960-9879

საქართველოს
განათლებისა და
მეცნიერების
სამინისტრო

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ერთიანული
ცენტრი

რედაქტორის სვეტი

თანამედროვე განათლების სისტემის გამოწვევაა თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო სივრცის შექმნა ყველა მოსწავლისთვის. ინკლუზიური განათლების კონტექსტში აღიარებულია შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების განათლების ხელშეწყობა, სრული მონაწილეობა და ჩართულობა სასწავლო პროცესში და რაც ყველაზე მთავარია, მათი სოციალური, სამოქალაქო და საგანმანათლებლო უფლებების პატივისცემა. ჩართულობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკური და შემეცნებითი უნარებით, არამედ მოიცავს ადამიანის მრავალფეროვნების სრულ სპექტრს შესაძლებლობებთან, ენასთან, კულტურასთან, სქესთან, ასაკთან და ადამიანთა განსხვავებების სხვა ფორმებთან მიმართებაში.

დღეისათვის, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განვითარების პროცესში. სკოლების ადმინისტრაცია, მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებლები, სკოლის ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები და მშობლები მუდმივად საჭიროებენ განახლებული ინფორმაციის მიწოდებას.

ჟურნალი „ინკლუზიური განათლება“ წარმოადგენს ინიციატივას, შევქმნათ საკომუნიკაციო სივრცე და თანამშრომლობითი ქსელი – მნიშვნელოვან საკითხებზე ღია და ჯანსაღი კომუნიკაციისთვის.

ჟურნალი აერთიანებს რუბრიკებს, ისეთი თემების შესახებ, როგორიცაა:

- სკოლამდელი ინკლუზიური განათლება;
- ინკლუზიური განათლება ზოგადი განათლების საფეხურზე;
- პროფესიული ინკლუზიური განათლება;
- პრაქტიკული რჩევები და რეკომენდაციები მშობლებისთვის

ასევე, იმედი გვაქვს, რომ ჟურნალი იქნება არა მხოლოდ საინფორმაციო, არამედ დამატებითი საგანმანათლებლო რესურსი დაინტერესებული საზოგადოებისთვის. ჟურნალი უზრუნველყოფს ინფორმაციის ღია წვდომას ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხების გაცნობისა და გაანალიზებისთვის, რაც ხელს შეუწყობს ინკლუზიური განათლების პოლიტიკისა და პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის ფართო საზოგადოებისთვის გაზიარებას.

თეონა ხოსიტაშვილი
მთავარი რედაქტორი

ინკლუზიური განათლება
№1'2023

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

მთავარი რედაქტორი
თეონა ხოსიტაშვილი

კორექტორი
მაია წიკლაური

დიზაინერი
ბესიკ დანელია

სარედაქციო კოლეგია

ეკატერინე დგებუაძე
თამარ ისაკძე
სოფიკო ცირგაია
თეონა ყაჭეიშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მისამართი:

თბილისი, სანდრო ეულის ქ. 5, ელფოსტა: info@tpdc.ge

ISSN 2960-9879

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალის რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი

WWW.TPDC.GE

შინაარსი

სკოლამდელი ინკლუზიური განათლება

მაია ბაგრატიონი-გრუზინსკი
3 დავინახოთ ბავშვები, რომლებიც დამატებით მხარდაჭერას საჭიროებენ

მაია წულაძე
7 ადრეული ბავშვობა და სკოლაში ტრანზიციის ხელშეწყობა

ინკლუზიური განათლება ზოგადი განათლების საფეხურზე

ეკატერინე დგებუაძე
13 ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოში

თამარ ჟღენტი
19 ინკლუზიური განათლების მიმდინარე პროცესები

თამარ გაგოშიძე
24 ინტერვიუ პროფესორ თამარ გაგოშიძესთან

სოფიკო ცირგაია
29 სწავლის უნივერსალური დიზაინის როლი ინკლუზიურ განათლებაში

თამარ ისაკაძე
32 განმავითარებელი აქტივობები

პროფესიული ინკლუზიური განათლება

მარიკა ზაქარეიშვილი
40 ინკლუზიური პროფესიული განათლება საქართველოში

თეონა გავაშელიშვილი
46 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის პროფესიების პრაქტიკაში მოსინჯვა

პრაქტიკული რჩევები და რეკომენდაციები მშობლებს

ნატა მეფარიშილი
49 მშობლის როლი ბავშვის განვითარებაში

საერთაშორისო გამოცდილება

გიორგი დემეტრაშვილი
53 „საქართველოს კარიტასის“ ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი პროექტი

დავინახოთ ბავშვები, რომლებიც დამატებით მხარდაჭერას საჭიროებენ

მაია ბამრატიონი-მრუზინსკი
კლინიკური ნეიროროფსიქოლოგი, ინკლუზიური განათლების კონსულტანტი

დისკრიმინაციისაგან თავისუფალი სასწავლო გარემოს ფორმირების წინაპირობა არის მასწავლებლის უნარი, აღიაროს ბავშვთა შორის არსებული ბუნებრივი განსხვავებულობა და ამ მრავალფეროვნებაზე მართებული რეაგირებით უზრუნველყოს ბავშვების შესაძლებლობების გათანაბრება, თუნდაც ეს მათ მიმართ არაერთგვაროვანი მიდგომების გამოყენებას გულისხმობდეს.

თანამედროვე სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულება და სკოლა მრავალფეროვანია. ისინი ერთ სასწავლო სივრცეში აერთიანებენ განსხვავებული თავისებურების მქონე ბავშვებს, ხოლო მათი ჩართულობით მიღებულ მრავალფეროვნებას ნორმად აქცევენ.

სწორედ საქართველოს კონსტიტუცია და განათლების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტები[1] ქმნის მყარ საფუძველს იმისათვის, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებები მრავალი ნიშნით განსხვავებულ ბავშვებს უქმნიდნენ ერთ სივრცეში თანაარსებობის, განვითარებისა და განათლების ღირსეულად მიღების შესაძლებლობებს.

დისკრიმინაციისაგან თავისუფალი სასწავლო გარემოს ფორმირების წინაპირობა არის მასწავლებლის უნარი, აღიაროს ბავშვთა შორის არსებული ბუნებრივი განსხვავებულობა და ამ მრავალფეროვნებაზე მართებული რეაგირებით უზრუნველყოს ბავშვების შესაძლებლობების გათანაბრება, თუნდაც ეს მათ მიმართ არაერთგვაროვანი მიდგომების გამოყენებას გულისხმობდეს.

საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მრავალფეროვნება თანამედროვე მასწავლებელს ახალი გამოწვევის წინაშე აყენებს, რადგან მოითხოვს მისგან, გამოიყენოს სწავლებისა და მხარდაჭერის არაერთგვაროვანი მიდგომები და, იმავდროულად, დამატებითი და სპეციფიკური ხელშეწყობა შესთავაზოს მათ, ვინც ამას საჭიროებს. თუმცა მანამდე, უმნიშვნელოვანესია იმ ბავშვებისა და მოსწავლეების გამოვლენა, რომლებიც სტანდარტულად ორგანიზებულ სასწავლო გარემოსა და პროცესში სრულად ვერ ერთვებიან და სხვებთან თანაბარ პირობებში მონაწილეობისთვის დამატებით მხარდაჭერას საჭიროებენ.

სწავლის პროცესში სპეციფიკური დახმარების გაწევა შეიძლება დაჭირდეთ ბავშვებს, რომლებსაც აღენიშნებათ მოქმედების ერთი ან რამდენიმე სფეროს განვითარების შეფერხება ან დარღვევა - კერძოდ, გამოირჩევიან ფიზიკური, ინტელექტუალური, ქცევისა და ემოციური სფეროს, სმენის ან მხედველობის თავისებურებით, აქვთ ჯანმრთელობის სირთულეები, მიღებული აქვთ ტრავმული გამოცდილება, სტრესი, აქვთ სოციალური კონტექსტით განპირობებული საჭიროება, აღენიშნებათ ენობრივი სირთულეები, რადგან წარმოადგენენ ლინგვისტურ უმცირესობებს, არიან მიგრანტები და სხვა.

ზოგადი განათლების საფეხურზე იმ მოსწავლეებს, რომლებსაც განსაკუთრებული და ინდივიდუალური მხარდაჭერა ესაჭიროებათ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს უწოდებენ.

ამ სტატუსის მინიჭებით, საგანმანათლებლო სისტემა ახდენს მოსწავლეთა შორის დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვების იდენტიფიცირებას და მათკენ მიმართავს სპეციფიკურ დახმარებას. ეს მხარდაჭერაა – მოსწავლისთვის უფლების მინიჭება, ისწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით; შეფასდეს ინდივიდუალურ მოთხოვნებთან მიმართებაში; მიიღოს დამატებითი და/ან ინდივიდუალური მეცადინეობები სპეციალური მასწავლებლისგან; ისარგებლოს სკოლის ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტის მომსახურებით; ჰქონდეს ინდივიდუალური განრიგი, დამხმარე საშუალებები და სხვ..

იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის საჭიროებები არ შემოიფარგლება მხოლოდ განათლების სფეროში გამოვლენილი სირთულეებით და ის განსაკუთრებულ დაბრკოლებებს ხვდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანატოლების მსგავსად მონაწილეობისას, მისი მხარდამჭერი ხდება, ასევე, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემა.

აღნიშნული სისტემა ბავშვს ანიჭებს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსს, რასაც ბავშვის მხარდამჭერ პროგრამაში ჩართვა მოყვება. ეს მხარდაჭერაა – ფულადი სარგებელი (იგივე, სოციალური პაკეტი/პენსია), რომელიც ბავშვისთვის გაიცემა შეზღუდული შესაძლებლობით განპირობებული

დამატებითი ხარჯების საკომპენსაციოდ; სარეაბილიტაციო მომსახურება – მაგ.: ფიზიკური თერაპია, ენისა და მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია; პერსონალური ასისტენტის მომსახურება; სხვადასხვა სახის დამხმარე საშუალებები (სავარძელ-ეტლი, სასმენი აპარატი და ა.შ.) და სხვა.

მიწოდებული დახმარება უადვილებს ბავშვს ყოველდღიურ ფუნქციონირებას და უმცირებს დარღვევით და გარემოში არსებული ბარიერებით გამოწვეულ სირთულეებს.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სტატუსი ადრეული ბავშვობის ასაკიდანვე გაიცემა, თუ ბავშვი თავისი ჯანმთელობის მდგომარეობისა და გარემოში არსებული ბარიერების გამო, თანატოლებთან შედარებით, თანამონაწილეობის გამოხატულ სირთულეებს ავლენს; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსი გაიცემა როგორც დაწყებით, ისე საბაზო და საშუალო საფეხურზე, მაშინვე, როგორც კი ბავშვს სწავლის პროცესში განსაკუთრებული სირთულეები დაუდასტურდება; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი მოსალოდნელ სირთულეებზე სწავლის პროცესში, აღნიშნული სტატუსი ბავშვს დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყებამდე (სკოლაში რეგისტრაციის შემდეგ) ენიჭება.

სკოლისგან განსხვავებით, ადრეული და სკოლამდელი განათლების საფეხურზე ბავშვებს, დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების დადგენის შემთხვევაში, ოფიციალური სტატუსი (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი, ან დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვი) არ ენიჭებათ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ბავშვს შესაძლებელია უკვე ჰქონდეს მინიჭებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სტატუსი და/ან მოგვიანებით, სკოლის საფეხურზე მიენიჭოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსი.

სკოლამდელი განათლების სისტემის ამგვარი მოწყობა, შეიძლება დადებით ტენდენციად და მართებულ მიდგომად შეფასდეს, რადგან ბავშვისთვის შესაბამისი დახმარების მისაწოდებლად, სტატუსის არსებობა წინაპირობად არ განიხილება; თუმცა ბავშვის მიმართ ყურადღებით ყოფნა, დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების ადრეული იდენტიფიცირება და დახმარების დაუყოვნებელი მიწოდება ბაღის ვალდებულებად რჩება. ბაღის მიერ ბავშვისთვის უზრუნველყოფილი სპეციფიკური და დამატებითი მხარდაჭერაა: სპეციალისტების მომსახურება (ენისა და მეტყველების თერაპევტი, ქცევის ფსიქოლოგი, განვითარების მხარდამჭერი სპეციალისტი), დამხმარე საშუალებების მიწოდება, სწავლებისა და განვითარების ხელშეწყობისთვის სპეციფიკური სტრატეგიებისა და მასალის გამოყენება და სხვა.

დამკვიდრებული მიდგომიდან ნათლად ჩანს, რომ სკოლამდელ საფეხურზე ბავშვებისთვის ფორმალური სტატუსის მინიჭების პროცესს ადრეული განათლების სისტემა საკმაოდ ფრთხილად ეკიდება, რადგან ხშირად, ადრეულ ასაკში არსებული სირთულეები დროებით და გარდამავალ მდგომარეობას წარმოადგენს და, გარკვეულ შემთხვევებში, ბავშვები მათ წარმატებით უმკლავდებიან.

აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ ხშირად მშობლები განსაკუთრებულად სენსიტიურები არიან ბავშვისთვის შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის სტატუსის მინიჭების მიმართ. ისინი თავს არიდებენ და უარს ამბობენ სტატუსის მიღებაზე, რადგან მათთვის აღნიშნული სახელწოდებები სტიგმასთან და ბავშვის ნაკლოვანებების ხაზგასმასთან ასოცირდება.

იმ შემთხვევაში, თუ მხარდაჭერის მიღება სტატუსის დადასტურებაზეა დამოკიდებული, გადამწყვეტია მშობლების მართებულად ინფორმირება სტატუსის დადებით მხარეზე. ამაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ბაღისა და სკოლის სპეციალისტებსაც (მასწავლებლებს, აღმზრდელებს, სპეც. მასწავლებლებს, ფსიქოლოგებს) შეუძლიათ, განსაკუთრებით მაშინ თუ ბავშვს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემისგან უწევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სტატუსის მიღება ან, მომდევნო ეტაპზე, განათლების სისტემისგან მოუწევს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის სტატუსის მიღება.

მნიშვნელოვანია, სპეციალისტებს მართებულად შეეძლოთ შეზღუდული შესაძლებლობის/

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის სტატუსის არსის, მისი მინიჭების საჭიროებისა და დანიშნულების მშობლისთვის განმარტება. მაგ.: შეზღუდული შესაძლებლობის არსის ახსნისას, აუცილებელია ხაზი გაესვას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არის ადამიანი, რომელსაც აქვს სირთულეები, სხვების მგავსად იყოს ჩართული სოციალურ ცხოვრებაში და შეასრულოს სხვადასხვა ყოველდღიური საქმიანობა, როგორიცაა სწავლა, თამაში, კომუნიკაცია, ჩაცმა, დაბანა, სიარული და ა.შ; მაგრამ **ეს სირთულეები არა მხოლოდ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით (ფიზიკური, სენსორული, ფსიქიკური ან ინტელექტუალური სფეროს დარღვევით) არის გამოწვეული, არამედ გარემოში არსებული ბარიერებით**[2]. ანალოგიური ხედვა უდევს საფუძვლად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის სტატუსის განმარტებას.

გვახსოვდეს, მშობლისთვის გადასაცემი უმთავრესი მესიჯებია:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სტატუსი არ ასოცირდება ბავშვის შეზღუდულ უნარებთან, ნაკლოვანებებთან; ის გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ სისტემამ შეძლოს იმ ბავშვების გამოვლენა, რომლებსაც განსაკუთრებული სირთულეები ხვდებათ ჯანმრთელობის მდგომარეობისა და გარემოში არსებული ბარიერების გამო;
- შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის სტატუსის მინიჭებით ხდება იმ ბავშვების იდენტიფიცირება, რომლებსაც განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდებათ სახელმწიფოს მხრიდან;
- სტატუსის დადასტურების შემდეგ ბავშვი ხდება იმ საჭირო მხარდაჭერის მიმღები, რომლის საფუძველზეც მცირდება სირთულეები, რომლებსაც იგი განიცდის ყოველდღიურ ცხოვრებაში და/ან განათლების პროცესში;
- სკოლამდელი განათლების სისტემა ფორმალურად არ ანიჭებს ბავშვებს დამატებით სტატუსს, თუმცა სისტემა სრულად მობილიზებულია, რომ აღმოაჩინოს ბავშვები, რომლებსაც დამატებითი მხარდაჭერა სჭირდებათ და აქტიურად ზრუნავს მათთვის დახმარების მიწოდებაზე.

შენიშვნები:

1 საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ; საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.

2 აღსანიშნავია, რომ საქართველო სრულად იზიარებს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის განმარტებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ; https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=97
2. ეროვნული სასწავლო გეგმა; 2018-2024 წ.
3. მინისტრის 16/ნ ბრძანება – ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი
4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289?publication=0
5. რა უნდა ვიცოდე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის პროცესზე? საინფორმაციო ბროშურა მშობლებისთვის; მაკ-ჯორჯია; 2023
6. ადრეული და სკოლამდელი ინკლუზიური განათლება, გზამკვლევი; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ნ. ფრიუძე, მ. ბაგრატიონი-გრუზინსკი; 2023
7. ინკლუზიური სკოლამდელი განათლების მართვა ადგილობრივ დონეზე; ო. მუსხელიშვილი, ნ. ჯიჯავაძე; UNCIEF

ადრეული ბავშვობა და სკოლაში ტრანზიციის ხელშეწყობა

მაია წულაძე
ოკუპაციური თერაპევტი, ინკლუზიური და სპეციალური განათლების სპეციალისტი

სკოლაში წარმატებულ ტრანზიციას მრავალფეროვანი გავლენა აქვს ბავშვის მომავალ სამანმანათლებლო პროცესზე და სნავლასთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე

ადრეული ბავშვობის მნიშვნელოვანი ტრანზიციები

ადრეულ წლებში ბავშვები, როგორც წესი, განიცდიან სხვადასხვა ტიპის გადასვლას (ტრანზიციას) ერთი გარემოდან, ერთი მდგომარეობიდან მეორეში, რაც გარდამტეხ მომენტს წარმოადგენს მათ განვითარებაში.

აღნიშნული ტრანზიციები განაპირობებს ცვლილებებს პიროვნულ მახასიათებლებში, ცხოვრებისეულ როლებში, ურთიერთობებში, ცვლილებებს საკუთარი თავისა და სამყაროს შესახებ შეხედულებებსა და ახალ გამოწვევებზე რეაგირების კომპეტენციებში (Cowan, Cowan, Ablow, Johnson, & Measelle, 2005). სახლიდან სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში და შემდეგ სკოლაში ან სახლიდან პირდაპირ სკოლაში გადასვლა წარმოადგენს ადრეული ბავშვობის მნიშვნელოვან ეტაპებს, რომელსაც ბავშვები და, მათთან ერთად, მშობლებიც გადიან. ეს არის ცვლილებების დრო, რომელიც შეიძლება იყოს რთული და, იმავდროულად, საინტერესო. ამ ცვლილებების შედეგად ბავშვები და ოჯახები ადაპტირდებიან ახალ როლებთან, იძენენ ახალ იდენტობებს, უჩნდებათ ახალი მოლოდინები და ამყარებენ ახალ ურთიერთობებს.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის (2017) თანახმად, ტრანზიცია წარმოადგენს პროცესს, რომელიც გულისხმობს ბავშვის გადასვლას სახლიდან ან ბავშვთა ადრეული ინტერვენციის (განვითარების) პროგრამიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სივრცეში ან მოძრაობას ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სივრცეში არსებულ სხვადასხვა პროცესს შორის, ან ბავშვის გადასვლას ადრეული და სკოლამდელი აღზრდიდან და განათლებიდან ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში.

სკოლაში ტრანზიცია

ადრეული ბავშვობის ტრანზიციებს შორის, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში ტრანზიციას. სკოლაში ტრანზიცია საერთაშორისოდაა აღიარებული როგორც ძალიან მნიშვნელოვანი და გარდამავალი ეტაპი ბავშვებისა და მათი ოჯახების ცხოვრებაში.

ბავშვები სკოლას იწყებენ განსხვავებული გამოცდილებითა და მოლოდინებით და გარკვეული ძლიერი მხარეებითა და საჭიროებებით. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვების უმეტესობა ეფექტურად უმკლავდება ახალ ცხოვრებისეულ ცვლილებას, ზოგიერთი ბავშვისა და ოჯახისთვის მსგავსი ტიპის გადასვლა გამოწვევებით სავსე შეიძლება აღმოჩნდეს. სკოლაში ტრანზიცია შედარებით რთული პროცესი შეიძლება იყოს მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელი და განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის, ასევე, იმ ბავშვებისთვის, რომლებსაც სკოლის დაწყებამდე არ ჰქონიათ სკოლამდელ განათლებაში მონაწილეობის გამოცდილება.

სკოლაში ბავშვის ტრანზიცია არ წარმოადგენს ერთ მომენტს დროის გარკვეულ მონაკვეთში; ეს არის გზა, ერთგვარი მოგზაურობა, რომელიც იწყება სკოლამდე და გრძელდება სკოლის პირველ წლებშიც. „ბავშვების გრძელვადიანი წარმატება სკოლაში გამომდინარეობს მათი სწავლის გამოცდილებიდან სკოლამდე, სკოლაში გადასვლისას და ადრეულ სასკოლო წლებში“ (CCCH, 2008b, გვ. 1). საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, სკოლაში ტრანზიციის გამოცდილებამ შეიძლება გრძელვადიანი გავლენა იქონიოს ბავშვების უნარზე, გაუმკლავდნენ ცხოვრებისეულ ცვლილებებს. სკოლაში ტრანზიციისას წარმოქმნილი სირთულეები შეიძლება გაგრძელდეს მთელი სასკოლო ცხოვრების განმავლობაში და შემდგომ და პირიქით, სკოლის წარმატებით დაწყებამ – განსაზღვროს სამომავლო დადებითი აკადემიური და სოციალური გამოცდილება სკოლაში და მის მიღმაც.

სკოლაში წარმატებულ ტრანზიციაზე და ახალ გარემოსთან ადაპტაციის უნარზე გავლენას ახდენს როგორც ბავშვის პიროვნული მახასიათებლები, სოციალური და შემეცნებითი უნარები, წინარე გამოცდილება, ასევე მშობლის პიროვნული მახასიათებლები, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობის სტილი და მშობლების პირადი მოგონებები სკოლაზე. გარდა ამისა, ბავშვის ახალ გარემოსთან ადაპტაციაზე გავლენას ახდენს

საზოგადოებრივი მახასიათებლებიც – თემი, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს და იზრდება, თემსა და ოჯახს შორის ურთიერთობები, თემში არსებული სკოლები, სხვადასხვა სერვისი და მათი ხელმისაწვდომობა (Farrar et al., 2007; CCCH, 2008a). ბავშვების ინდივიდუალურ მახასიათებლებს შეუძლია გავლენა იქონიოს სკოლაში ადაპტაციის პროცესზე, ამ მახასიათებლების ჩამოყალიბებაზე კი გავლენას ახდენს ის გარემო, რომელშიც ბავშვები იზრდებიან და ვითარდებიან.

სკოლაში ტრანზიციის გამოცდილება ბავშვებისა და მშობლებისთვის

ახალ საგანმანათლებლო გარემოში ადაპტაცია ბევრისთვის გარკვეულ გამოწვევას წარმოადგენს და, შესაბამისად, დამატებითი მხარდაჭერის საჭიროებას აჩენს (Fabian, H. & Dunlop, A-W, 2002). სკოლაში ტრანზიცია, რომელიც ყველა ბავშვისთვის კომპლექსურ ცხოვრებისეულ ცვლილებასთან არის დაკავშირებული, კიდევ უფრო სტრესული და გამოწვევებით სავსე შეიძლება აღმოჩნდეს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის (Rosier, K., McDonald, M., 2011).

სკოლაში ტრანზიციის გამოცდილება ბავშვებისთვის

ადრეული/სკოლამდელი განათლების გარემოდან ან სახლიდან სკოლაში ტრანზიცია ხასიათდება როგორც გადასვლა მცირე მასშტაბის ურთიერთობებიდან უფრო ფართომასშტაბიანზე, პერსონალიზებულიდან – ნაკლებად პერსონალიზებულზე და შეზღუდული ასაკობრივი დიაპაზონის გარემოდან – უფრო მრავალფეროვან ასაკობრივ გარემოში (CCCH, 2008a, გვ. 1). ადრეული ბავშვობის განათლების გარემოსგან განსხვავებით, სადაც აქცენტი კეთდება „თამაშზე დაფუძნებულ სწავლაზე", სკოლის დაწყებისთანავე ბავშვები ხვდებიან უფრო სტრუქტურირებულ სასწავლო პროცესში, სადაც მათ მოეთხოვებათ ხანგრძლივად ჯდომა და ყურადღების მეტად კონცენტრირება, მასწავლებლის ინსტრუქციების გაგება და შესრულება. სასკოლო გარემოში მასწავლებლები უფრო მეტად ავტორიტეტულ ფიგურებად განიხილებიან ბავშვების მიერ, ვიდრე ადრეულ სასწავლო გარემოში, სადაც უფრო „ზრუნვითი" მიდგომაა გამოყენებული (Cowan et al., 2005; Davies, 2011). რაც უფრო დიდია განსხვავება ადრეული ბავშვობის განათლების გარემოსა და სასკოლო გარემოს შორის (მაგ., ფიზიკური, აქტივობები, ურთიერთობის სტილი), მით უფრო რთული შეიძლება იყოს ბავშვებისთვის სკოლაში ტრანზიცია (CCCH, 2008b; Margetts, 2002). სკოლის ახალ გარემოსთან ადაპტირება მოითხოვს, რომ ბავშვებმა დააკმაყოფილონ პიროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტები, მოიქცნენ სხვებისთვის მისაღები გზით (Margetts, 2002). ბავშვებმა უნდა გააცნობიერონ ძველსა და ახალ გარემოს შორის არსებული განსხვავებები, ახალი რუტინები, პროცედურები და მოთხოვნები, რომელსაც მათ უყენებენ. ზოგიერთს შეიძლება გაუჭირდეს სხვების მოლოდინების დაკმაყოფილება და განიცადოს წარუმატებლობასთან დაკავშირებული შფოთვა. სასკოლო გამოცდილების მატებასთან ერთად, ბავშვები უკეთ აცნობიერებენ ავტონომიურად ფუნქციონირების აუცილებლობას (დევისი, 2011).

სკოლაში ტრანზიციის გამოცდილება მშობლებისთვის

მშობლებისთვის სკოლის დაწყება სიმბოლოა ბავშვის დამოუკიდებლად მოქმედებისა (დევისი, 2011). სკოლაში გადასვლა წარმოადგენს შესაძლებლობებს, მაგრამ, ასევე, გამოწვევებს მშობლებისთვის (CCCH, 2008b). მშობელი შეიძლება წუხდეს მისი შვილის ადაპტაციის, ქცევისა და აკადემიური მხარის თაობაზე, თანატოლებთან ურთიერთობისა და ინსტრუქციების შესრულების შესაძლო სირთულეებზე (Dockett et al., 2011; Giallo et al., 2010). შეიძლება გაიზარდოს მშობლის მოლოდინები მისი შვილის აკადემიური მიღწევებისა და ქცევის მიმართულებით. საკუთარი ან ოჯახის სხვა წევრების სკოლაში ნეგატიური გამოცდილების გამო, ზოგიერთმა მშობელმა შეიძლება განიცადოს სკოლაში შვილის ბედნიერებასთან და უსაფრთ-

ხოებასთან დაკავშირებული შფოთვა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მშობელი შეიძლება ღელავდეს იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ სკოლაში მისი შვილისთვის საჭირო რესურსებისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფას (Dockett et al., 2011).

სკოლისათვის მზადყოფნა

სკოლაში ტრანზიციის კონტექსტში, „სკოლისათვის მზაობის" კონცეფცია და მისი გამოყენება ყველა ბავშვის სწავლისა და განვითარების ხელშესაწყობად, განსაკუთრებულ ფასეულობას იძენს უკანასკნელ წლებში. სკოლისათვის მზაობის თანამედროვე პერსპექტივა საკმაოდ ფართოა და განიხილება სამ განზომილებაში: ბავშვების მზადყოფნა სკოლისთვის, სკოლების მზადყოფნა ბავშვების მისაღებად და ოჯახების მზადყოფნა სკოლისთვის. ტრანზიციის პროცესში სამივე განზომილებისთვის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს სათანადო კომპეტენციების შეძენა: ბავშვების ადაპტირება ახალ სასწავლო გარემოსთან, ოჯახების მიერ ახალ სოციოკულტურულ სისტემასთან (ანუ სკოლის სისტემასთან) თანამშრომლობის სწავლა და სკოლების მიერ ახლადმიღებული ბავშვების ხელშეწყობა, მათი ინდივიდუალურობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით. ამასთანავე, თანამედროვე პერსპექტივა ბავშვის სკოლისათვის მზაობის შესახებ ისეთ უნარებზე ამახვილებს ყურადღებას, როგორიცაა სოციალური და ემოციური, კომუნიკაცია და ენა, თვითმომსახურება და ავტონომიურობა და ნაკლები აქცენტი კეთდება აკადემიურ უნარებზე.

კომპეტენციების განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვანია სამივე განზომილების ტანდემში მუშაობა, რადგან სკოლისათვის მზადყოფნა, როგორც ტრანზიციის ნაწილი, მოითხოვს ინდივიდებს, ოჯახებსა და სისტემებს შორის კოორდინირებულ მოქმედებასა და თანამშრომლობას. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ განმარტავს ტრანზიციას, როგორც ბავშვის საჭიროებებზე მორგებულ და ეფექტიანად კოორდინირებულ პროცესს, რომელიც გულისხმობს სასკოლო ასაკის ბავშვის სკოლაში შესვლას, რაც ხორციელდება ამ პროცესში მონაწილე მხარეების თანამშრომლობით და ემსახურება სასწავლო პროცესში ბავშვის წარმატებულ ჩართვას (მუხლი 2. ჩ8).

სკოლაში ტრანზიციის ხელშეწყობის პროცესი

სკოლაში წარმატებულ ტრანზიციას გრძელვადიანი გავლენა აქვს ბავშვის მომავალ საგანმანათლებლო პროცესზე და სწავლასთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. შესაბამისად, ბევრ განვითარებულ ქვეყანაში, სკოლაში ტრანზიციის ხელშეწყობას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. ბავშვებისა და ოჯახებისთვის შემუშავებულია ტრანზიციის მხარდამჭერი პროგრამები და მომსახურებები, რომლებშიც სკოლებიც აქტიურად არიან ჩართული. მხარდამჭერი სისტემებისა და მომსახურებების არსებობა ხელს უწყობს ბავშვების უმტკივნეულო გადასვლას ახალ გარემოში და ეფექტიანია იმ მხრივ, რომ ეხმარება მშობლებს ტრანზიციასთან დაკავშირებული ცვლილებების ეფექტურ მართვაში და ტრანზიციის პროცესში თავიანთი შვილების სათანადო მხარდაჭერაში. მშობლების ჩართვა და ერთობლივი გაგებისა და თანაბარი პარტნიორობის განვითარება ტრანზიციის პროცესის განუყოფელი ნაწილია. ოჯახი, სხვადასხვა სერვისი და სკოლა იზიარებენ პასუხისმგებლობას, დაეხმარონ ბავშვს სკოლისათვის მომზადებასა და ადაპტაციის უნარის განვითარებაში.

ტრანზიციის პროცესის ხელშეწყობისა და სისტემურ დონეზე გამართვის აუცილებლობა ბოლო წლებში თვალსაჩინო გახდა საქართველოშიც და, შესაბამისად, აისახა ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონშიც, რომელიც ავალდებულებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, ხელი შეუწყონ პირის/მოსწავლის ეფექტიან ტრანზიციას (მუხლი 33).

სკოლაში ტრანზიციის მხარდამჭერი მომსახურება უნდა ითვალისწინებდეს ფაქტორების ფართო სპექტრს, რომელიც გავლენას ახდენს ბავშვის ცხოვრების ამ პერიოდზე და ეხმარება ბავშვსა და ოჯახს სკოლაში ტრანზიციის დაგეგმვის პროცესში. მნიშვნე-

ლოვანია, რომ ტრანზიციის მხარდამჭერმა მომსახურებამ უზრუნველყოს ცალკეული ბავშვისა და მისი ოჯახის დახმარება სკოლაში შესვლამდე და მომდევნო წლის განმავლობაში და არა მხოლოდ დროის ერთ მომენტში. აღნიშნული ხელშეწყობა უნდა გააქტიურდეს სკოლის დაწყებამდე ერთი წლის განმავლობაში და გაგრძელდეს მას შემდეგაც, რაც ბავშვი ფორმალურად დაიწყებს სკოლაში სწავლას. სკოლებმა და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებმა უნდა შექმნან ძლიერი ქსელები ერთმანეთთან დასაკავშირებლად და ოჯახებთან პარტნიორობის ჩამოსაყალიბებლად, ბავშვების სკოლაში ტრანზიციის ხელშესაწყობად. წარმატებული და უმტკივნეულო ტრანზიციის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია ინფორმაციის გაცვლა შემდეგ რგოლებს შორის: სკოლა – ოჯახი, სკოლა – სკოლამდელი განათლების დაწესებულება, სკოლა–ბავშვის მხარდაჭერაში ჩართული სპეციალისტები/სერვისები, სკოლა –ბავშვი, მშობელი–ბავშვი, სკოლამდელი განათლების დაწესებულება–ბავშვი. პოზიტიური ურთიერთობებისა და თანამშრომლობის განვითარებით, სკოლის დაწყებამდე, ტრანზიციის პროცესში და შემდეგაც, სკოლებს და სხვა ჩართულ მხარეებს შეუძლიათ, ხელი შეუწყონ ბავშვებს და ოჯახებს მათთვის რთული პერიოდის უმტკივნეულოდ გავლაში.

ტრანზიციის გამართული პროცესი მოითხოვს მოქნილ მიდგომებსა და მომსახურებებს, რომელიც გაითვალისწინებს თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და თავისებურებებს. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის სკოლაში ჩართვის ხელშეწყობის პროგრამები და ტრანზიციის მთლიანი პროცესი უნდა იყოს მაქსიმალურად ინდივიდუალიზებული.

სკოლაში ტრანზიციის ხელშემწყობი მომსახურებების საკვანძო ცნებებია: უნიკალური ბავშვი, პოზიტიური ურთიერთობები და ხელშემწყობი გარემო.

უნიკალური ბავშვი: სკოლის დაწყება არ არის სტანდარტიზებული პროცესი, რადგან ბავშვები შეიძლება იმყოფებოდნენ განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და ფლობდნენ განსხვავებულ უნარებს საკუთარ თავში გაცნობიერების, თანატოლებთან ურთიერთობის, სიმბოლური ცნებების გამოყენების, მორალური განსჯის, მოტორული, თვითმომსახურებისა და სხვა უნარების მხრივ; ასევე, მოსალოდნელია, რომ ბავშვებს ჰქონდეთ განსხვავებული მოლოდინები, ოჯახური კულტურული ფონი და ტრანზიციის წინარე გამოცდილება (Margetts, 2002). აუცილებელია იმის აღიარება, რომ ცვლილებების დროს ყველა ბავშვი შეიძლება იყოს დაუცველი, მით უფრო, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პატარები. ბავშვები უნდა მომზადდნენ მოსალოდნელი ცვლილებისთვის, მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, დასვან კითხვები, გამოხატონ წუხილები და მოსაზრებები სკოლაში გადასვლისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ, გაიცნონ მომავალი სასწავლო გარემო, რუტინები, წესები და იქ არსებული პრაქტიკა.

პოზიტიური ურთიერთობები: ტრანზიციები შეიძლება შემსუბუქდეს ფრთხილი და პროაქტიული დაგეგმვით, ინფორმაციის გაზიარებით და ორმხრივი ურთიერთობით მშობლებსა და საგანმანათლებლო სისტემის წარმომადგენლებს შორის. აუცილებელია ერთმანეთის მიზნების, მოლოდინებისა და ხედვის გაზიარება, მშობლების როლის აღიარება. ტრანზიციის პროცესის მხარდაჭერაში ჩართული მხარეები უნდა გაეცნონ მშობლის პოზიციას და ხელი შეუწყონ სკოლის მიმართ მათი ნდობის ჩამოყალიბებას. მშობლებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ ინფორმაცია ტრანზიციის პროცესის შესახებ (მაგ., ღია კარის დღეები, საინფორმაციო ღონისძიებები, კონსულტაციები და სხვა საშუალებები). მშობელი, თავის მხრივ, პოზიტიურ გზავნილებს მიაწვდის შვილს სკოლის შესახებ და ძლიერ დასაყრდენად იქცევა თავისი შვილისთვის ტრანზიციის პროცესში.

მხარდამჭერი გარემო: ბავშვები უკეთ უმკლავდებიან ტრანზიციებს, როდესაც პირობები მსგავსია მათთვის კარგად ნაცნობ „ძველ“ და ახალ გარემოს შორის, კომუნიკაცია წახალისებულია და ცვლილებების პროცესი განჭვრეტადი და თანმიმდევრული. ბავშვებს შეუძლიათ, წარმატებით გაუმკლავდნენ ემოციებს, რომლებიც თან სდევს ცვლილებას; როდესაც მათთვის ახალ გარემოს აქვს მკაფიო მისასალმე-

ბელი პროცედურა. ბავშვები სწავლობენ და ვითარდებიან განსხვავებული გზითა და ტემპით; ამიტომ მნიშვნელოვანია ბავშვის ჰოლისტური საჭიროებების გათვალისწინება და ინდივიდუალურად მორგებული მხარდაჭერით, გამოცდილების უწყვეტობით და ზრუნვისა და სწავლის ყველა ასპექტით უზრუნველყოფა. სათანადო მომზადებისა და მხარდაჭერის შემთხვევაში, ბავშვები უფრო დაცულად გრძნობენ თავს და უფრო ადვილად იმკვიდრებენ თავს ახალ გარემოში.

შეჯამება

სკოლაში ტრანზიცია ადრეული ბავშვობის ერთ-ერთი საკვანძო ცვლილებაა. ტრანზიციის პოზიტიური გამოცდილება განაპირობებს ბავშვების მომავალ სოციალურ და აკადემიურ წარმატებას და ემოციურ კეთილდღეობას. ბავშვები განსხვავდებიან სკოლისათვის მზადყოფნის კუთხით. ამასთანავე, სკოლისათვის მზადყოფნა ფართო კონცეფციაა, რომელიც მომზადებული ბავშვების გარდა, მოიაზრებს მომზადებულ მშობლებსა და სკოლებს. სკოლისათვის „მზადყოფნა“ დამოკიდებულია იმაზე თუ როგორი ურთიერთობა ყალიბდება ტრანზიციის საკვანძო მონაწილეებს შორის. სწორედ ამიტომ, ტრანზიციის პროცესი ყველა დაინტერესებული მხარის როლის გათვალისწინებას, ეფექტურ კომუნიკაციასა და ურთიერთთანამშრომლობას მოითხოვს.

განათლების სისტემაში უნდა დაინერგოს სკოლაში ტრანზიციის მხარდამჭერი პრაქტიკა, რომელიც შესაძლებლობას შეუქმნის ოჯახებს, ჩაერთონ ბავშვების სასკოლო მზაობის ფორმირებისა და ტრანზიციის ხელშეწყობის პროცესში; პრაქტიკა, რომელიც გააძლიერებს სკოლამდელ განათლებას, სკოლებს და ბავშვთან დაკავშირებულ სხვა ჩართულ მხარეებს შორის პარტნიორულ ურთიერთობას და უზრუნველყოფს ბავშვების სკოლაში უმტკივნეულო გადასვლას. ტრანზიციის ხელშემწყობი პროგრამებისა და მომსახურებების არსებობა მნიშვნელოვანია როგორც ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის, ასევე განათლების ეროვნული სისტემის განვითარებისთვის.

გამოყენებული წყაროები

1. Fabian, H., Dunlop, A. (2006). Strong foundations: early childhood care and education. Outcomes of good practice in transition processes for children entering primary school. Background Paper Prepared for the Education for All Global Monitoring Report 2007.
2. Hirst, M., Jervis, N., Visagie, K., Sojo V., Cavanagh, S. (2011). Transition to Primary School: A Review of the Literature.
3. Literature Review Transition: a Positive Start to School. Centre for Equity & Innovation in Early Childhood (CEIEC). The University of Melbourne Vic 3010, RFQ Reference Number: 200809AS November/December 2008.
4. O'Kane, M., and Murphy, R. (2016). Transition from Preschool to Primary School: Audit of Policy in 14 Jurisdictions. National Council for Curriculum and Assessment, NCCA.
5. Outcomes and Indicators of a Positive Start of School. Victoria University, 2009.
6. School Readiness: A Conceptual Framework. United Nations Children's Fund, 2012.
7. Skouteris, H., Watson, B., Lum, J. (2012). Preschool Children's Transition to Formal Schooling: The Importance of Collaboration Between Teachers, Parents and Children. Australasian Journal of Early Childhood Volume 37 Number 4.
8. Transition to School. Guidelines for Early Intervention Providers, June 2014.
9. Transition: A Positive Start to School. A guide for families, Early Childhood Services, Outside School Hours Care Services and Schools. Published by the Early Childhood Strategy Division Office of Children and Portfolio Coordination Department of Education and Early Childhood Development Melbourne. State of Victoria 2009.
10. ადრეული ბავშვობა და ტრანზიცია სკოლაში – გზამკვლევი ტრანზიციის პროცესში ჩართული სპეციალისტებისთვის და ოჯახებისთვის, 2019, მაია ბაგრატიონ-გრუზინსკი, ცირა ბარქაია, მაია წულაძე და სხვ.
11. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ (2005).
12. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები. გაეროს ბავშვთა ფონდი (2017).

ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოში

ეკატერინე დვეგუაძე
აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის დირექტორი

განათლების, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლების, დასაცავად ყველა ქვეყანას განსხვავებული ისტორია აქვს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1948 წელს მიღებულმა „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ", განათლების უფლების დასაცავად, საფუძველი ჩაუყარა ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტების მიღებას, როგორიც არის 1960 წლის UNESCO-ს კონვენცია „განათლება დისკრიმინაციის გარეშე" (the Convention Against Discrimination in Education), 1986 წლის ბავშვის უფლებათა კონვენცია და 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია. ქვეყნებმა, რომლებმაც აღნიშნული კონვენციების რატიფიცირება მოახდინეს, ვალდებულება აიღეს, თავიანთი მოქალაქეებისთვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, შექმნან სამართლებრივ პრინციპებზე დაფუძნებული ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლება.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა 1975 წელს მიიღო პირველი აქტი EHA (Education for all Handicapt Children Act) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განათლების უფლების დასაცავად, რომელიც წლებთან ერთად გადაიხედა და 1990 წელს დამტკიცდა როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების აქტი IDEA (Individuals with Disability Education Act).

ყველა ქვეყანა საკუთარი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით იცავს საკუთარი მოქალაქეების განათლების უფლებას. განათლების უფლების აღიარებას მხოლოდ თეორიული საფუძველი არ უნდა ჰქონდეს; მნიშვნელოვანია დოკუმენტებით აღებული ვალდებულებების პრაქტიკაში განხორციელება.

არა მხოლოდ საკანონმდებლო დონეზე, არამედ განხორციელების პროცესშიც, მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მშობელთა, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობელთა ორგანიზაციებს, რომლებიც საკუთარი შვილების განათლების უფლების დასაცავად აქტიურად იბრძვიან.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ სხვადასხვა წელს პასუხისმგებლობა აიღო (რატიფიცირება მოახდინა) ზემოაღნიშნული კონვენციების განხორციელებაზე; მათ შორის, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაზე, რომელიც არის გლობალური მოწოდება მოქმედებისკენ; მისი ერთ-ერთი, მე-4

მიზანი გვავალდებულებს, 2030 წლისთვის შევქმნათ სამართლებრივ პრინციპებზე დაფუძნებული ხარისხიანი ინკლუზიური განათლება, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე მისცემს ადამიანს სწავლისა და განვითარების შესაძლებლობას.

განათლების ინკლუზიურ სისტემად გარდაქმნას წინ უძღოდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რომელსაც საფუძვლად უდევს, პირველ რიგში, საქართველოს კონსტიტუციის 27 მუხლი – „ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება“.[1]

საქართველოში 2004 წლიდან დაიწყო დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი, რომელიც ალტერნატიული ზრუნვის სისტემის რეფორმის პროცესია და რომლის მიზანია ინსტიტუციურ ზრუნვაზე დამოკიდებულების შემცირება[2]. ამ პერიოდისთვის განათლების სისტემაში 15 სპეციალიზებული სკოლა-პანსიონი არსებობდა, რომელთა დიდი ნაწილი დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში დაიხურა და მხოლოდ 6 დარჩა; აქედან 5 სკოლა-პანსიონი (ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სკოლა-პანსიონს 2018 წლიდან რესურს-სკოლა ეწოდა)[3] 24-საათიან მომსახურებას ახორციელებს. 4 სკოლა პასუხისმგებელია ინტელექტუალური განვითარების პრობლემის მქონე მოსწავლეების, 2 სკოლა – ყრუ და სმენადაქვეითებული მოსწავლეების და 1 სკოლა – უსინათლო და მცირემხედველი მოსწავლეების განათლებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებმა პირველად საქართველოშიც დაიწყეს საკუთარი შვილების განათლების უფლების დაცვაზე საუბარი; ითხოვდნენ, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მათი შვილებისთვის შეექმნა განათლების მიღებისთვის საჭირო პირობები და პროგრამები, რაც მათ განათლებას, განვითარებას და საზოგადოებაში ინტეგრაციას შეუწყობდა ხელს. ამ მიზნის მისაღწევად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2005 წელს მიიღო გადაწყვეტილება ინკლუზიური განათლების სისტემაში დანერგვის შესახებ.

იმის გამო, რომ საქართველოში არ არსებობდა ინკლუზიური განათლების დანერგვისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ნორვეგიის მთავრობასთან თანამშრომლობით და ნორვეგიული გამოცდილების გათვალისწინებით, 2006 წელს დაიწყო ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესი.

პირველ ეტაპზე პროექტის ფარგლებში შეირჩა თბილისის 10 საჯარო სკოლა, სადაც ნორვეგიელი ექსპერტების დახმარებით შემუშავებული სატრენინგო მასალის საფუძველზე, გადამზადდნენ მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაცია; მოეწყო ათივე საჯარო სკოლის ფიზიკური გარემო და დაიწყო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვების სკოლაში ინტეგრაციის პროცესი. საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად ჩატარდა უამრავი შეხვედრა. რაც მთავარია, საფუძველი ჩაეყარა მულტიდისციპლინური გუნდის შექმნას, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრის მიზნით, აფასებს პირს და მისთვის განათლების საუკეთესო ფორმას არჩევს.[4]

მეორე ეტაპი 2009 წელს დაიწყო და ასევე ინკლუზიური განათლების დანერგვას გულისხმობდა საქართველოს 9 რეგიონის 10 საჯარო სკოლაში. პროექტის ფარგლებში, მასწავლებლების გადამზადებასთან და სკოლების ფიზიკური გარემოს ადაპტირებასთან ერთად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში შემუშავდა სატრენინგო პროგრამები, მომზადდნენ ტრენერები, შეიქმნა გზამკვლევები, სკოლებში გაჩნდნენ დახმარე სპეციალისტები, რომლებსაც ინკლუზიური განათლების კოორდინატორები ეწოდათ. გაჩნდა დამატებითი დაფინანსების პროგრამა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მხარდასაჭერად.

ამასთან ერთად, 2007 წელს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში გაჩნდა ინკლუზიური

განათლების პირველი განმარტება და მას „ინკლუზიური სწავლება“ ეწოდა. იმ პერიოდისთვის ის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა ჩართვას გულისხმობდა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში, სხვა მოსწავლეებთან ერთად. 2010 წელს კანონში ტერმინი „ინკლუზიური სწავლება“ შეიცვალა ტერმინით „ინკლუზიური განათლება“ და ის უკვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას გულისხმობდა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში, თანატოლებთან ერთად, თუმცა დრომ და გამოცდილებამ აღიარა თითოეული მოსწავლის უნიკალურობა და არა მარტო ინკლუზიური განათლების მიდგომა გადაფასდა, არამედ განათლების სისტემამ დაიწყო მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განვითარება. დღევანდელი რედაქციით (2018 წელი) ზოგადი განათლების შესახებ კანონი ინკლუზიურ განათლებას განმარტავს როგორც თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია ყველა მოსწავლის განათლება, მათი ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით.

2013 წლიდან, კვლავ ნორვეგიელი ექსპერტების ჩართულობით, ინკლუზიური განათლების დანერგვა დაიწყო და წარმატებით განხორციელდა პროფესიული განათლების სისტემაშიც. მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობა გაფართოვდა, დაიწყო მოსწავლეების შეფასება პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხვის მიზნით, გადამზადდნენ სპეციალისტები, პროფესიულ სასწავლებლებში გაჩნდნენ დამატებითი სპეციალისტები; პროფესიული სასწავლებლების ფიზიკური გარემო მოეწყო უნივერსალური დიზაინის პრინციპებით. საქართველოს კანონმა პროფესიული განათლების შესახებ აღიარა ინკლუზიური განათლება, რამაც შემდგომ ხელი შეუწყო მის განვითარებას.

მრავალი წელია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს რეფორმას ზოგადი განათლების განვითარების მიზნით. რეფორმის ფარგლებში, სისტემამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა მასწავლებლის პროფესიული განვითარების, სასწავლო ინფრასტრუქტურის, ტექნოლოგიების, საგანმანათლებლო რესურსებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარების მიმართულებით. თუმცა მიმაჩნია, რომ რეფორმის მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ ინკლუზიური განათლების დანერგვა წარმოადგენს, რამაც საფუძველი ჩაუყარა მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის განვითარებას, სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების იდენტიფიცირებას და სასწავლო პროცესში მათ ინტეგრაციას, მასწავლებლის როლისა და კონპეტენციის გადაფასებას, განსხვავებული მეთოდოლოგიებისა და სასწავლო-სასკოლო კურიკულუმების შექმნას; ასევე, მოსწავლის როლის გაზრდას, უფლებების დაცვას, სასწავლო ინფრასტრუქტურის შეცვლას, განათლების პოლიტიკის გადახედვას და ახალი პროფესიების გაჩენას, როგორიც არის, მაგალითად, სპეციალური მასწავლებელი, მოსწავლის პერსონალური ასისტენტი, მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი და ჟესტური ენის მასწავლებელი. აღსანიშნავია, რომ ამ მიზნის მისაღწევად განათლების სისტემამ გრძელი და რთული გზა გაიარა, თუმცა, ხარისხიანი ინკლუზიური განათლების დასანერგად, ჯერ კიდევ მრავალი მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადასადგმელი.

საკანონმდებლო დოკუმენტების შემუშავებასთან ერთად, მეტად მნიშვნელოვანია ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განვითარების პროცესი. ტერმინი ინკლუზიური განათლება საზოგადოებას სხვადასხვა სახის წარმოდგენას უქმნის. კერძოდ, მოსახლეობის დიდ ნაწილს ჯერ კიდევ მიაჩნია, რომ ის მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ეხმარება განათლების მიღებაში; მაშინ, როდესაც ინკლუზიური განათლება არის მიდგომა, რომელიც აღიარებს მრავალფეროვნებას მოსწავლეებში და განსხვავებულებას სწავლების პროცესში. ის მოითხოვს მრავალფეროვანი სასწავლო სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენებას. ინკლუზიური

განათლების პირობებში, ყველა მოსწავლეს ეძლევა საკუთარი შესაძლებლობის სრულად რეალიზების საშუალება. სწორედ ეს არის მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა – როდესაც ვაღიარებთ, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი ინდივიდუალური, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებითა და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სწავლა-სწავლების დროს;

არსებული მონაცემებით, საჯარო სკოლებში 10000-ზე მეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროები მქონე მოსწავლე იღებს განათლებას და მათი რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. წლების განმავლობაში მოსწავლეთა მკვეთრად გაზრდილი რაოდენობა არის კარგი მაჩვენებელი იმისა, რომ იზრდება ნდობა ინკლუზიური განათლების მიმართ, ხელმისაწვდომობა სასწავლო გარემოზე, მცირდება მოსწავლეების მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულება, მაღლდება საზოგადოების ცნობიერება.

საქართველო არ არის გამონაკლისი, მთელ მსოფლიოში გვხვდებიან მოსწავლეები რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ ქცევითი სირთულეები, სწავლაში გამოვლენილი სიძნელეები ან ორივე ერთად, ასევე ბავშვები, რომლებიც გარკვეული მიზეზების გამო აღმოჩნდნენ ფორმალური განათლების მიღმა. ხშირ შემთხვევაში, სულაც არ არის აუცილებელი მოსწავლისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსის მინიჭება. მნიშვნელოვანია, სკოლა ორიენტირებული იყოს

მოსწავლის მოტივაციის გაზრდაზე, გაკვეთილზე პოზიტიური გარემოს შექმნაზე, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება მოსწავლესთან ურთიერთობას და შესაბამისი დრო დაეთმობა ინტერაქციას, რითაც მოსწავლე უფრო დაფასებული და აღიარებული იქნება. ფორმალურ განათლებასთან ერთად, სკოლამ უნდა დაგეგმოს არაფორმალური განათლების ღონისძიებებიც, რაც თავისთავად დიდ როლს თამაშობს მოსწავლის განვითარებაში.

დროთა განმავლობაში მიღებულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეროვნულმა სასწავლო გეგმამ ვერ უზრუნველყო თითოეულ მოსწავლეზე მორგებული ეფექტიანი სასწავლო პროცესის ორგანიზება და საჭიროგახდა ეროვნული სასწავლო გეგმის გაფართოება. ამ მიზნის მისაღწევად, შემუშავდა ინტელექტუალური განვითარების დარღვევის, სენსორული (სმენის და/ან მხედველობის) განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის და სკოლის მიღმა დარჩენილი პირებისთვის სასწავლო კურიკულუმები, რაც არის მოსწავლისთვის განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნის მისაღწევი გზა. ეს სამართლებრივ პრინციპებზე დაფუძნებული ხელმისაწვდომი სასწავლო გარემოს შექმნის კარგი მაგალითია.

სწორედ ინკლუზიური განათლების პრინციპების გამოყენებით ხდება შესაძლებელი, რომ მასწავლებელმა, სპეციალური მასწავლებლის და სხვა სპეციალისტების (ფსიგოლოგი, მოსწავლის პერსონალური ასისტენტი და სხვა) დახმარებით, ფორმალური და არაფორმალური ღონისძიებების გამოყენებით, ისე დაგეგმოს სასწავლო აქტივობები, რომ ჰარმონიაში მოვიდეს კლასსა და სკოლაში მიმდინარე პროცესები.

ვისაუბრეთ კანონმდებლობის მნიშვნელობაზე, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის გაფართოებაზე, თუმცა, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, აუცილებელი და ყველაზე რთულია აღებული ვალდებულების პრაქტიკაში განხორციელების პროცესი. ეს მოითხოვს ახალი პროფესიების შექმნას, საუნივერსიტეტო პროგრამების შემუშავებას, მასწავლებლებისა და სპეციალისტების მაღალ კომპეტენციას, კვალიფიციური კადრების გაზრდას და გადამზადებას, სასკოლო კულტურის განვითარებას, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსების, სასწავლო მეთოდოლოგიების შექმნას და გამოყენებას, ტექნოლოგიურ მხარდაჭერას, კვლევების ჩატარებას, ინფრასტრუქტურის განვითარებას და, ისევ და ისევ, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობას.

გარდა სასწავლო გეგმებისა, არსებობს არაერთი პარადიგმა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სკოლას და მასწავლებლებს, სისტემაში მოიყვანონ სასწავლო პროცესი, ორიენტირებული იყვნენ მოსწავლეების აკადემიური და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებაზე, მუდმივად აფასებდნენ მოსწავლის პროგრესს, აძლევდნენ უკუკავშირს და, საჭიროების შემთხვევაში, ახდენდნენ ინტერვენციას, რემედიაციას. ერთ-ერთი ასეთი პარადიგმაა მხარდამჭერი მრავალშრიანი სისტემა (MTSS), რომელიც აერთიანებს აკადემიურ ნაწილში ინტერვენციაზე რეაგირების მეთოდს (RTI), სწავლების უნივერსალურ დიზაინს (UDL), დიფერენცირებულ სწავლებას (DI), სოციალურ და ემოციურ სწავლებას (SEL), პოზიტიური ქცევის ინტერვენციას და მხარდაჭერას (PBIS – Positive Behavior Intervention and Support).

მხარდამჭერი მრავალშრიანი სისტემისთვის მნიშვნელოვან სეგმენტს მოსწავლის საჭიროებების დროული გამოვლენა და მათზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება წარმოადგენს. ამისთვის მასწავლებელი კლასში არსებულ ყველა მოსწავლესთან იყენებს მონაცემთა ანალიზის ინსტრუმენტებს, როგორიცაა, მაგალითად, მოსწავლეზე დაკვირვება, რომლის დახმარებითაც იმ უნარების იდენტიფიცირება ხდება, რომელიც ხელს უშლის მას სწავლაში (სმენა, მხედველობა, მოტორული უნარები, ყურადღება, კონცენტრაცია და სხვა.); ასევე, აკადემიური პრობლემების გამოსავლენად, მასწავლებელი ატარებს დიაგნოსტირებას კითხვასა და მათემატიკაში. აღ-

ნიშნული აქტივობა სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ ტარდება იმისთვის, რომ მოხდეს მოსწავლის პროგრესზე მუდმივი მონიტორინგი. მრავალშრიანი მხარდამჭერი სისტემა ყურადღებას ამახვილებს ასევე პრევენციული მექანიზმების ამოქმედებაზე, რომელსაც მასწავლებელი მოსწავლეზე დაკვირვებისა და აკადემიური შეფასებით მიღებული შედეგების საფუძველზე ახორციელებს. აღნიშნული ღონისძიებები ამცირებს სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სტატისტიკურ მაჩვენებელს. ამ მიზნის მისაღწევად მასწავლებელს, სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების სისტემური მხარდაჭერა ესაჭიროება.

სწავლის უნივერსალური დიზაინი (UDL) კი არის კოგნიტური ნეირომეცნიერების კვლევაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო ჩარჩო, რომელიც ადამიანის ტვინის მუშაობის პრინციპზე აგებს სწავლის მეთოდს, ეხმარება მასწავლებელს, მოსწავლის საჭიროების მიხედვით, სწორად განსაზღვროს სასწავლო სტრატეგიები, რესურსები, ტექნოლოგია, შექმნას პოზიტიური, მოქნილი სასწავლო გარემო და დაეხმაროს მოსწავლეს სწავლა-სწავლების პროცესში.

ადამიანის ტვინი შედგება მილიარდობით ურთიერთდამაკავშირებელი ნეირონისგან, რომლებიც ერთად ქმნიან უნიკალურ ბილიკებს. დროთა განმავლობაში ეს სტრუქტურები იცვლება ჩვენი გამოცდილებისა და გარემოსთან ურთიერთქმედების შედეგად. როდესაც ვსწავლობთ, ზოგიერთი კავშირი უფრო ძლიერი და სწრაფი ხდება. როგორც ჰების კანონი (1949)[5] ამბობს – „ნეირონები, რომლებიც ერთად ანათებენ, მავთულხლართები არიან". ნერვული ქსელი გვეხმარება, ვისწავლოთ, შევინახოთ და გავიხსენოთ ინფორმაცია. მაგალითად, როდესაც ვკითხულობთ ტექსტს, ნერვული ქსელი გვეხმარება, დავიმახსოვროთ ინფორმაცია მრავალი გამომწვევის საშუალებით. იმ შემთხვევაში თუ კავშირი პასიურია, ნეირონები სუსტდება და იშლება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „გამოიყენე ან დაკარგე".

როგორც ვხედავთ, მეცნიერულად არის დამტკიცებული, რომ სწავლა არის მუდმივი განვითარების პროცესი; შესაბამისად, ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში ჩართვა და შესაძლებლობის ფარგლებში განვითარებაზე ზრუნვა. სწორად დასახული სასწავლო მიზნები, შერჩეული აქტივობები, საგანმანათლებლო რესურსები, მოსწავლეებისთვის მიცემული ხშირი განმავითარებელი შეფასებები ზრდის და ცვლის მოსწავლის გონებრივ შესაძლებლობებს. სასწავლო მიზნის მიღწევაში მოსწავლეებს ეხმარება უკვე ჩამოყალიბებული ძლიერი მხარეები.

სწავლის უნივერსალური დიზაინი დგას სამ პრინციპზე:

- **სწავლაში ჩართვის სხვადასხვა საშუალება** – მოსწავლეებისთვის ინტერესის გაჩენა მოტივაციის გასაზრდელად
- **ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა საშუალება** – მოსწავლეებისთვის ინფორმაციისა და ცოდნის მიღების სხვადასხვა გზის შეთავაზება
- **ათვისებული მასალის გამოხატვის სხვადასხვა საშუალება** – მოსწავლეებისთვის ცოდნის წარმოჩენის ალტერნატიული გზების შეთავაზება

ვცვლით სწავლისა და გარემოს დიზაინს იმისთვის, რომ განათლება გავხადოთ ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი.

შენიშვნები:

1 საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი 1995წ.
2 https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/Namicheishvili.pdf
3 https://matsne.gov.ge/document/view/29248?publication=97
4 https://matsne.gov.ge/document/view/29248?publication=97
5 https://www.supercamp.com/what-does-neurons-that-fire-together-wire-together-mean/

ინკლუზიური განათლების მიმდინარე პროცესები

თამარ ქლენტი
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ინკლუზიური განვითარების სამმართველოს უფროსი

საქართველოს კონსტიტუციით ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სრულ რეალიზებას, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

ინკლუზიური განათლება არის საგანმანათლებლო მიდგომა, რომელიც სისტემურ დონეზე გულისხმობს ხარისხიან განათლებას ყველასათვის, ინდივიდუალური განსხვავებულობის აღიარებას, მიმღებლობას და შემეცნებითი, აკადემიური, სოციალური, ემოციური თუ ფიზიკური საჭიროებების დაკმაყოფილებას, სწავლა-სწავლების მრავალფეროვანი მხარდამჭერი მიდგომებისა და შესაბამისი პირობების შეთავაზებით.

ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოში, ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს მხარდაჭერით, 2006 წლიდან დაიწყო. პირველ ეტაპზე პროექტში ჩართული იყო თბილისის 10 საჯარო სკოლა, 2009 წლიდან პროექტი გაფართოვდა და ინკლუზიური განათლების დანერგვა დაიწყო თბილისის 10 და საქართველოს რეგიონების 10 საჯარო სკოლაში. 2011 წლიდან განათლების სისტემამ ნორვეგიის პროექტის ფარგლებში დაწყებული პროცესის უწყვეტობა უზრუნველყო. მოცემულ ეტაპზე ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში მიმდინარეობს.

მანათლების სისტემის ხარისხისა და ინკლუზიურობის გაძლიერების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ნორვეგიის მთავრობა და გაეროს ბავშვთა ფონდი ახორციელებენ ერთობლივ სამწლიან პროგრამას „არცერთი ბავშვი განათლების გარეშე“.

შეიქმნა მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც შედგება 52 წევრისაგან და ემსახურება მთლიანად საქართველოს. გუნდი შედგება სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტებისაგან (ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებელი, ოკუპაციური თერაპევტი, ფსიქიატრი), რომელთა ფუნქციასაც წარმოადგენს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადგენის მიზნით, პირების/მოსწავ-

ლეების კოგნიტური, აკადემიური და ფუნქციური უნარების შეფასება სტანდარტიზებული ტესტებით და სწავლა-სწავლების მიმართულებით სკოლებისათვის რეკომენდაციების შემუშავება.

მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების შედეგად იდენტიფიცირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. 2022 წლის დეკემბრის მონაცემებით, საჯარო სკოლებში წარმოდგენილია 11461 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.

სებას. 2013 წელს დაფინანსების ოდენობა შეადგენდა თვეში 350 ლარს ყოველ ხუთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეზე, 2023 წელს კი აღნიშნული დაფინანსება ყოველ ხუთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეზე თვეში 700 ლარს შეადგენს (საქართველოს მთავრობის დადგენილება N476, 14.09.2015).

2021 წელს პირველად ჩატარდა სპეციალური მასწავლებლის გამოცდა, რომლის შედეგად 1000-მდე მოქმედმა პრაქტიკოსმა სპეციალურმა მასწავლებელმა მოიპოვა უფროსი სპეციალური მასწავლებ-

სურ. N1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სტატისტიკა:



სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების რაოდენობის ზრდასთან ერთად, იზრდებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების როგორც ფინანსური მხარდაჭერის, ისე ადამიანური და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის საჭიროება.

2013 წლის 1 სექტემბრიდან შეიცვალა სკოლების დაფინანსების მოდელი და ის სკოლები, რომლებშიც ირიცხებიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მათი განათლების მხარდასაჭერად ღებულობენ დამატებით დაფინან-

ლის სტატუსი და შესაბამისი სტატუსის დანამატი. 2022 წელს აღნიშნული გამოცდა წარმატებით ჩააბარა 226-მა პრაქტიკოსმა სპეციალურმა მასწავლებელმა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოსა და სწავლების პროცესის დროულად უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტრომ პირველკლასელთა რეგისტრაციის პირველ ეტაპად 2019 წლიდან განსაზღვრა სპეციალური

სურ. N2 სკოლებში ინკლუზიური განათლების მიმართულებით მომუშავე სპეციალისტების რაოდენობა:



საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების რეგისტაცია, რომლის შედეგადაც ხდება დარეგისტრირებული მომავალი პირველკლასელების მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასება და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიცირება. ეს სკოლას საშუალებას აძლევს, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ჰქონდეს ინფორმაცია მომავალი პირველკლასელების საგანმანათლებლო საჭიროებების შესახებ, რათა განსაზღვროს, რისი უზრუნველყოფა დასჭირდება მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებისათვის.

ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის მიმართულებით, სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი შეიმუშავებს და ატარებს მრავალფეროვან ტრენინგმოდულებს, რომელთა მიზანია სკოლის ადმინისტრაციის, სპეციალური მასწავლებლების, მასწავლებლების, მშობლების გაძლიერება ინკლუზიური განათლების საკითხებში.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მუშავდება მრავალი დამხმარე რესურსი (გზამკვლევი, სახელმძღვანელო...), რომელიც ემსახურება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლა-სწავლების ხელშეწყობას და განკუთვნილია როგორც სფეროს სპეციალისტებისა და მასწავლებლებისათვის, ისე მშობლებისათვის (ვებგვერდი inclusion.ge).

„ეროვნულ სასწავლო გეგმაში“ განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების მარეგულირებელი კომპონენტები; დამტკიცებულია: ალტერნატიული სასწავლო გეგმა ღრმა და მძიმე განვითარების შეფერხების, აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებისათვის; სენსორული სასწავლო გეგმა; მობილობისა და ორიენტაციის სტანდარტი; გაფართოებული სასწავლო გეგმა მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის.

მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის სახელმძღვანელოები იბეჭდება ბრაილის შრიფტით, ასევე, მზადდება სახელმძღვანელოების აუდიო ვერსიები. სამინისტროს მიერ, მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეების განათლების მხარდასაჭერად, ხდება დამხმარე ტექნიკური საშუალებების შეძენა, როგორიცაა ბრაილერი, CCTV და სხვა.

მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულებების ადაპტირება განსხვავებული საჭიროების მქონე მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის. ხორციელდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ტრანსპორტირების სერვისით უზრუნველყოფა.

ზოგადი განათლების პარალელურად, ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა მიმდინარეობს განათლების ყველა საფეხურზე.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონსა და „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებში" ასახულია ინკლუზიური განათლების პრინციპები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, ბოლო სამი წლის განმავლობაში, ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ინკლუზიური სკოლამდელი განათლებისა და აღზრდის ხელშეწყობის მიმართულებით, მომზადდა სხვადასხვა გზამკვლევი. საგანმანათლებლო რესურსები ითვალისწინებს ინკლუზიური განათლების მხარდაჭერას მშობლებისთვის, თემისთვის და, ზოგადად, სფეროში ჩართული ყველა დაინტერესებული პირისთვის.

დღეისათვის, ფორმალური პროფესიული განათლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში მთელი საქართველოს მასშტაბით. პროფესიულ პროგრამებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების ჩარიცხვა ალტერნატიული გზით ხორციელდება და აღნიშნული პროცედურა სრულად არის მორგებული პირის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე.

2017 წლიდან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების განათლების მხარდასაჭერად, სახელმწიფოს მიერ კვარტალურ ვაუჩერზე 1000.0 ლარის ოდენობის დამატებითი დაფინასებაა განსაზღვრული (საქართველოს მთავრობის დადგენილება N244, 19.09.2013). აღნიშნული დაფინანსების გამოყენება სასწავლო პროცესში პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ხდება და მოიცავს როგორც პროფესიული/ადამიანური, ასევე, მატერიალური რესურსით მხარდაჭერას.

ოთხ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ფიზიკური გარემო ადაპტირებულია უნივერსალური დიზაინის პრინციპების მიხედვით. შექმნილია ისეთი საგანმანათლებლო რესურსები, როგორიცაა პროფესიული ტერმინოლოგიის შესაბამისი ჟესტების ელექტრონული ბანკი (ვებგვერდი – ge.signwiki.org), აღნიშნული ბანკის სატელეფონო აპლიკაცია, პროფესიული სახელმძღვანელოების აუდიო ვერსიები. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, შესაბამისი საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია პორტაბელური ვიდეოგამადიდებლები.

შემუშავებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიული ორიენტაციის პროცედურა.

მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აბიტურიენტებისთვის შესაბამის მხარდამჭერ სერვისებს, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ ერთიან ეროვნულ გამოცდებში სხვა სტუდენტებთან თანაბარ პირობებში, გონივრული მისადაგების პრინციპის დაცვით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და

აკადემიური მომზადების გათვალისწინებით, სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებისა და პირობების შეთავაზებას, სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობას და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფას.

ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობის მიმართულებით განხორციელებული თანმიმდევრული ღონისძიებების მიუხედავად, განათლების სისტემის წინაშე კვლავ მრავალი გამოწვევა დგას, რომელიც უკავშირდება მრავალფეროვანი შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის განათლების მისაწვდომობის ზრდასა და ხარისხიანი განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

2022-2030 წლების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ბავშვზე/მოსწავლეზე/სტუდენტზე ორიენტირებული თანასწორი, ინკლუზიური და მრავალფეროვანი განათლებისა და მეცნიერების მდგრადი სისტემის ფორმირება. თითოეულ პირს, მიუხედავად მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა, ეთნიკური წარმოშობისა/ენობრივი კუთვნილებისა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობისა, უნდა ჰქონდეს წვდომა მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურებაზე მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ინკლუზიური განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, 2023 წელს სამინისტრო აგრძელებს განათლების სისტემაში დასაქმებული პირების გაძლიერებას, მათთვის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, შესაბამისი მრავალფეროვანი პროგრამების შეთავაზებას, პოზიტიური მშობლობის მხარდაჭერას, დამხმარე საგანმანათლებლო რესურსებისა და სახელმძღვანელოების შემუშავებას, სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამების განვითარება-განხორციელების ხელშეწყობას და სხვა.

ამასთან ერთად, ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე, რომლის განხორციელებაც იგეგმება, შეეხება ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ახალი ეროვნული სისტემის ფორმირებას.

განათლების სისტემის ხარისხისა და ინკლუზიურობის გაძლიერების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ნორვეგიის მთავრობა და გაეროს ბავშვთა ფონდი ახორციელებენ ერთობლივ სამწლიან პროგრამას „არცერთი ბავშვი განათლების გარეშე". პროგრამის ფარგლებში, მონაწილე მხარეების, უცხოელი და ქართველი ექსპერტების ჩართულობით, შემუშავდა ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ახალი სისტემის მოდელი, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა პასუხისმგებლობისა და მომსახურების ერთ სივრცეში მობილიზებას, რაც მეტად შეუწყობს ხელს არსებული რესურსების კოორდინირებულად მართვას, ეფექტიანად გამოყენებასა და კომპეტენციების გაძლიერებას. ამასთან, ახალი სისტემა უზრუნველყოფს რესურსსკოლების გაძლიერებას, საჯარო სკოლების კონსულტირებისა და ტრანზიციის კომპონენტის გაუმჯობესებას, ეფექტიანი ოპერაციული გუნდების ფორმირებას და, საჭიროებების შესაბამისად, ახალი მხარდამჭერი სერვისების განვითარებას. ახალი სისტემა ითვალისწინებს თანმიმდევრულ, თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ მრავალმხრივ საგანმანათლებლო მხარდაჭერას და სასწავლო გარემოში ინკლუზიური განათლების პრაქტიკის ხარისხის გაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ;
2. საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის ბრძანება N16/ნ „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე";
3. „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40 ბრძანება;

თამარ გამოშიძე
კლინიკური ნეიროფსიქოლოგი, ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი

ინტერვიუ ფსიქოლოგთან

დღეს სკოლა ერთადერთი ადგილია დაშლილ და დანაწევრებულ საზოგადოებაში, სადაც ბავშვის ინტერესის გამო, „იძულების წესით" ერთიანდება მთელი საზოგადოება. შესაბამისად სკოლა ის ველია სადაც მასწავლებელი, მშობელი და საზოგადოება — სკოლის უახლოესი სოციალური გარემო უნდა თანამშრომლობდეს მოგავალი პასუხისმგებლიანი, ეთიკური, მზრუნველი და მცოდნე მოქალაქის ფორმირებაში. ეს ერთნაირად ეხება ტიპური და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს.

სად და როგორ დაიწყო ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვა საქართველოში?

მე გაგიზიარებთ ჩემს პერსონალურ ნარატივს ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით; გიამბობთ იმას, თუ რა ინფორმაციას ვფლობ ჩემს პროფესიულ და არაპროფესიულ მეხსიერებაში. ეს ძალიან დიდი ხნის წინ დაიწყო; ახლა ჩვენ იმ პერიოდთან შედარებით, მრავალმხრივ განებივრებულები ვართ. მიუხედავად იმისა, რომ მე პრეტენზიებიც მაქვს დღევანდელი განათლების სისტემის მიმართ, მინდა გითხრათ, რომ ჩვენ არათუ არ ჩამოვრჩებით მსოფლიოს რომელიმე განვითარებულ ან ევროპულ ქვეყანას ინკლუზიური განათლების მიმართულებით, არამედ კანონმდებლობის დონეზე გვაქვს ძალიან კარგი ჩარჩო, რაზეც ასევე ვისაუბრებ.

საწყისებს რომ დავუბრუნდეთ, ჩემი ინკლუზიური განათლების საკითხებთან გადაკვეთის ისტორია დაიწყო ჯერ კიდევ 1990-იან წლებში, როდესაც ეკონომიკურად და სოციალურად რთული ფონი იყო ქვეყანაში. მაშინ უმაღლესი სასწავლებლებიც ძალიან რთულ მდგომარეობაში იყვნენ, სიბნელესა და სიცივეში ცოდნა არ გროვდებოდა და არ ვითარდებოდა, მაგრამ არსებობდა გარკვეული შესაძლებლობები. ჩვენ, რამდენიმე სპეციალისტმა, რომლებიც გაფანტულად, თითო-ოროლა ბავშვს კერძოდ ვემსახურებოდით, დავიწყეთ შფოთვა იმის თაობაზე, რომ არ ვიცოდით, რა უნდა გვექნა მას შემდეგ, რაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებს იმ დროის ცივ და გაურკვეველ სკოლებში გავამწესებდით.

სწორედ ამ პერიოდში, რამდენიმე სპეციალისტი და მშობელი, რომლებსაც გვქონდა შვილების ზოგადსაგანმანათლებლო გარემოში ჩართვასთან დაკავშირებული გამოცდილება, გავერთიანდით.

1997 წელს USAID პროგრამის დახმარებით, დაინტერესებულ ადამიანთა გუნდი ამერიკის შეერთებულ შტატებში გავემგზავრეთ სპეციალური პროგრამით – იმისთვის, რომ გავცნობოდით იქაურ ინკლუზიურ განათლებას. ეს თითოეული ჩვენგანისთვის შთამბეჭდავი და სულისჩამდგმელი გამოცდილება იყო. ჩვენ გავეცანით ბევრ რამეს, მათ შორის, კანონმდებლობას და სკოლებში პრაქტიკულ მუშაობას; გვქონდა შესაძლებლობა, მოგვენახულებინა სხვადასხვაგვარი სკოლები. პირველად ვნახეთ რესურსსკოლები, ინტეგრირებული კლასები, სკოლები ინკლუზიური კლასებით. ჩემზე ამ ყველაფერმა უდიდესი გავლენა მოახდინა და რადიკალურად შეცვალა ჩემი, როგორც ნეიროფსიქოლოგის, ხედვა. იმ დრომდე, სფეროს უფრო ვიწრო სპეციალისტი ვიყავი კლინიკური გამოცდილებითა და მიდგომებით. ამ გამოცდილებამ დამანახა, როგორ შეიძლებოდა ფსიქოლოგიის სფერო, კერძოდ ნეიროფსიქოლოგია საზოგადოების სამსახურში ჩაგვეყენებინა და განვითარების პრობლემების მქონე ბავშვების სოციალურ ინტეგრაციაზე გვეზრუნა.

2003 წელს ბავშვთა სახლების გაუქმება დაემთხვა იმ მცირე არასამთავრობო ორგანიზაციების გამოჩენასა და გააქტიურებას, რომლებიც ახლა ძლიერები არიან ბავშვთა მომსახურების სფეროში. ამ ორგანიზაციებში დასაქმებული პირები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები და სპეციალისტები, განათლების სამინისტროსთან ერთად, ჩაერთნენ მიმდინარე პროცესებში. 2005 წელს პირველი ათი სკოლა ჩაერთო პროექტში, რომელიც ემსახურებოდა ინკლუზიური განათლების დანერგვას. პროექტი სამი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. განვლილ წლებთან შედარებით, მშობლებიც გააქტიურებულები იყვნენ, ცნობიერების ცვლილებასაც საფუძველი ჰქონდა ჩაყრილი; ნორვეგიის მთავრობის გრანტი დიდი მხარდაჭერა იყო ინკლუზიური განათლების პრინციპების დანეგრვაში. მაგრამ, როდესაც იდეების განხორციელება პრაქტიკაში დავიწყეთ, მივხვდი, წინ ბევრი ბარიერი გველოდა. თუ მანამდე მეგონა, რომ ინკლუზიური განათლება არის საზოგადოების ღირებულებები და ღირებულებათა ცვლილება მთავარია, აშკარა გახდა, ეს არ იქნებოდა საკმარისი – ჩვენ წავაწყდით მასწავლებლებში ცოდნისა და მათი მხარდამჭერი რესურსის სიმცირეს... სწორედ ამის შემდეგ შეუერთდა განათლების სამინისტროს ძალიან ბევრი კვალიფიციური სპეციალისტი. თავიდან არ ჩანდა ჩვენი ძალისხმევა და გვეგონა, ერთ ადგილს ვტკეპნიდით, თუმცა ბოლოს კანონმდებლობაც შეიცვალა, დაიწყო გრანტების მოზიდვის ინტენსიფიკაცია ინკლუზიური განათლების დანერგვისათვის და დაიწყო მასწავლებლების გაძლიერება და გადამზადება. მასწავლებლის სახლში პერმანენტული ტრენინგები ხორციელდებოდა მასწავლებლების გასაძლიერებლად ინკლუზიური განათლების საკითხებში.

განათლების სისტემა უნდა იყოს იმის კომპლემენტარული შესატყვისი, რა მიზანიც აქვს სახელმწიფოს. ფსიქოლოგიის ჭრილიდან, საქართველო პოსტტრავმატული საზოგადოებაა და ეს ტრავმატიზაცია ახლაც სხვადასხვაგვარად გრძელდება; მაგალითად, გაძლიერდა ემიგრაციული პროცესები და ამით გამოწვეული ტრავმა და სტრესი ნელ-ნელა გროვდება და თავს იჩენს ბავშვებისა თუ ზრდასრულების მენტალურ პრობლემებში. საზოგადოების მენტალური მდგომარეობიდან გამომდინარე, იცვლება როგორც განათლების სისტემის მიმართ მოთხოვნები, ისე ბავშვთა საჭიროებებიც. დღეს აუცილებელია, შეიცვალოს სკოლის მისია და სკოლამ აიღოს თავის თავზე სოციალური და აღმზრდელობითი ფუნქციაც. სკოლა აღარ არის ბავშვებისთვის მხოლოდ ცოდნის მიწოდების ადგილი. გავიხსენოთ ყველასთვის ცნობილი განათლების ფინური მოდელი, რომლის მიხედვით, სკოლის მთავარი მიზანია, უზრუნველყოს ორი კომპონენტის გაძლიერება: ბავშვის კეთილდღეობის და ჩართულობის.

ამასთან ერთად, საქართველოს წარსულში აქვს საბჭოთა კავშირის განათლების სისტემის გამოცდილება, სადაც მთავარი ღირებულებები იყო კოგნიცია და ცოდნა. ეს სისტემა საბჭოთა სახლმწიფოსთვის შესაბამისი ადამიანის ჩამოყალიბებაზე იყო ორიენტირებული. არსებობდა მკაცრი იერარქია და საზოგადოებრივი ღირებულებები ამ იერარქიის მიხედვით ლაგდებოდა. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინერციით დღემდე ფოკუსირებულია დიდი მოცულობით ინფორმაციის დასწავლაზე. თუ საზოგადოება სკოლის ფუნქციის ცვლილებას საჭიროებს, მაშინ ამ საზოგადოების თითოეული წევრი უნდა დავფიქრდეთ – ვინ გვინდა მივიღოთ სკოლის დასრულების შემდეგ? თუ ვთანხმდებით, რომ გვინდა თავისუფალი და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის აღზრდა, აუცილებელია, მათ საკუთარ უფლებებთან ერთად, მოვალეობებიც ვასწავლოთ, რაც დღეს სკოლებში ნაკლებად ხდება. აუცილებელია, ასევე, სკოლა დაეხმაროს ბავშვს, იყოს საზოგადოებაში ადაპტირებული, რაც ნიშნავს იმის სწავლებას, რომ თავისუფლებას მოვალეობა მოსდევს, გადაწყვეტილებას კი – პასუხისმგებლობა, რომ აუცილებელია სხვისი უფლებების გათვალისწინება. სკოლა უნდა გახდეს მიკროსამყარო, სოციალური აქტივობის ერთეული; დღეს სკოლა ერთადერთი ადგილია დაშლილ და დანაწევრებულ საზოგადოებაში, სადაც ბავშვის ინტერესის გამო, „იძულების წესით“ ერთიანდება მთელი საზოგადოება. შესაბამისად სკოლა ის ველია სადაც მასწავლებელი, მშობელი და საზოგადოება – სკოლის უახლოესი სოციალური გარემო უნდა თანამშრომლობდეს მომავალი პასუხისმგებლიანი, ეთიკური, მზრუნველი და მცოდნე მოქალაქის ფორმირებაში. ეს ერთნაირად ეხება ტიპური და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსაწვლეებს.

ამ ისტორიამ გვასწავლა, რომ ბევრი რამ გავაკეთეთ, მაგრამ დაგვრჩა ის ძალიან მნიშვნელოვანი, რასაც არ ვაქცევთ ყურადღებას – ეს არის ჩვენი ემოციური სფერო და ჩვენი პიროვნების ჩამოყალიბება. ჩვენ რთულ და სწარაფად ცვალებად გარემოში ადაპტაცია, სტრესთან გამკლავება და პიროვნული ზრდა მენტალური ჯანმრთელობის საფუძველია. ეს უნდა იყოს გათვალისწინებული, როცა ვსაუბრობთ ინკლუზიურ განათლებაზე. ხშირად ამ ტერმინის ქვეშ მოიაზარებენ მხოლოდ აკადემიურ მიღწევებში პრობლემების მქონე მოსწავლეებს და ნაკლები ყურადღება ეთმობა ემოციური სფეროსა და ქცევის სირთულეების მქონე მოსწავლეებს. გამოცდილებაც ამ მიმართულებით ბევრად ნაკლებია.

სკოლის ფუნქციის ცვლილება აუცილებელია მშობელთა გაძლიერების მიმართულებითაც. სკოლა უნდა ითვალისწინებდეს მიკროსოციუმის საჭიროებებს. ჩვენს ქვეყანაში ბავშვთა აღზრდის შესახებ გამოცდილების გაზიარება თაობიდან თაობისთვის გადაცემით ხდებოდა; მიგრაციის გამო ქვეყანაში გაიზარდა ზრუნვას მოკლებული არაერთი თაობა. ბევრ ქვეყანაში, სკოლებში აქტიურად ფუნქციონირებს მშობელთა სასწავლო წრეები, სადაც სკოლა, სახელმწიფოსთან ერთად, ბავშვის უფლებების დაცვის და მათი კეთილდღეობის მიზნით ზრუნავს, მშობლებს განუვითაროს მათთვის აუცილებელი, საჭირო უნარ-ჩვევები ან გაუწიოს გარკვეული დახმარება. განსაკუთრებით დიდი მხარაჭერა და ზრუნვა ესაჭიროება განვითარებაში პრობლემების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების მშობლებს. მათ მეტი გამოწვევები აქვთ და აუცილებელია ინკლუზიური განათლების სისტემაში გათვალისიწინებული იყოს მშობლებთან მუშაობა, მათი მხარდაჭერა და განათლება.

რა გამოცდილებებისა და პრაქტიკების დანერგვა უპასუხებს ამჟამინდელ საჭიროებებს?

ინკლუზიური განათლების საჭიროება და გაგება შეიცვალა და გაფართოვდა. უნდა შევთანხმდეთ, რომ ინკლუზიური განათლება ემსახურება ყველას – უნივერსალური მხარდაჭერა და ინდივიდუალური მიდგომაც ყველას სჭირდება და არა მხოლოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს. გამოჩნდა ძველი სტრატეგიების გადახედვის საჭიროება – სკოლებში უნდა დაიგეგმოს არსებული ადამიანური რესურსების მაქსიმალური და ფუნქციური გამოყენება. მეტი აქცენტი კეთდება თვალსაჩინო შეზღუდულ შესაძლებლობაზე, მაშინ როცა არათვალსაჩინო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა უფრო მეტია სკოლაში. გარეგნულად ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის, ან დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეები არ განსხვავდებიან თანატოლებისგან, მაგრამ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები აქვთ. ეს ხშირად უგულებეყოფილია ხოლმე. დღეს სკოლაში ისევ ნორვეგიული მთავრობის გრანტისა და გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით ინერგება ე.წ. RTI სისტემა, რომლის მთავარი მიზანია ხარისხიან განათლებაზე ყველანაირი საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ხელმისწავდომობა და ამ პრინციპის დანერგვაში სკოლების და მასწავლებლების გაძლიერება. სწორედ ეს მოდელი იძლევა სკოლაში არსებული რესურსის მაქსიმალური გამოყენების საშუალებას დასწავლის, ქცევის და ემოცური პრობლემების მქონე მოსწავლეთა დასახმარებლად.

ნეირომეცნიერებებში აღიარებული ფაქტია, რომ ადამიანის განვითარების გზაზე მთავარია ემოცია.

ნეირომეცნიერებებში აღიარებული ფაქტია, რომ ადამიანის განვითარების გზაზე მთავარია ემოცია. მაგალითად, მასწავლებლების მოლოდინები ბავშვების მიმართ 80%-ით განსაზღვრავს ბავშვის აკადემიური მიღწევის დონეს. 21-ე საუკუნის ადამიანის უნარები მხოლოდ კოგნიტურით არ შემოიფარგლება; ამ საუკუნეში მნიშვნელოვანია ემოციური რეგულაცია, თანამშრომლობა, ინტერპერსონალური ურთიერთობის ჩვევები, ინფორმაციის გაფილტვრა, განსჯა. მასწავლებლებს უნდა დავეხმაროთ, უზრუნველყონ სწორედ ამ უნარების

მასწავლებლების მოლოდინები ბავშვების მიმართ 80%-ით განსაზღვრავს ბავშვის აკადემიური მიღწევის დონეს.

– სოციალურ-ემოციური უნარების განვითარება თითოეულ მოსწავლეში და თავადაც გამოიყენონ სოციალურ-ემოციური სწავლების მეთოდები.

უკიდურესად მნიშვნელოვანია, სკოლაში არსებობდეს სისტემური ხედვა და მხარდამჭერი რგოლების გაერთიანება; მაგალითად, მასწავლებელი კლასის დონეზე უნდა ცდილობდეს მოსწავლეებთან სოციალური და ემოციური უნარების განვითარებას; თუ მას დამატებითი დახმარება ესაჭიროება, უნდა არსებობდეს პროფესიონალი, რომელსაც დაეყრდნობა. ასეთი სპეციალისტები განათლების სისტემაში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ – სპეციალური მასწავლებელი თუ მეტწილად მოსწავლის აკადემიურ, საგანმანათლებლო საკითხებშია მასწავლებლის დამკვალიანებელი, მნიშვნელოვანია, სკოლას დახმარებას უწევდეს ფსიქოლოგიც, რომელიც შეძლებს უპასუხოს მოსწავლეების დამატებით საჭიროებებს.

სკოლის ფსიქოლოგი ერთგვარი შუქნიშანია და მას ეხება ბავშვის ყველა მენტალური და ფსიქოლოგიური საკითხი – დაწყებული განათლების საკითხებიდან და დამთავრებული მისი სოციალური და ემოციური ჩართულობით. უმჯობესია, სკოლის ფსიქოლოგის ფუნქციები, საკლასო და სასკოლო დონეზე, მასწავლებლებისა და მშობლების კონსულტირებისას იყოს გამოყენებული. ის უნდა ასრულებდეს მიმართულების მიმცემის ფუნქციას სხვადასხვა რგოლისათვის.

იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვის ქცევითი და ემოციური სირთულეები შეიძლება გამომდინარეობდეს სხვადასხვა საჭიროებიდან ან მდგომარეობიდან, თითოეულ შემთხვევაში ბავშვს განსხვავებული მომსახურება ესაჭიროება. სკოლაში უნდა არსებობდეს კრიზისულ სიტუაციებთან გამკლავების ჯგუფი, რომელსაც ფსიქოლოგმა უნდა უხელმძღვანელოს. ამ ჯგუფში მასწავლებელი, სპეციალური მასწავლებელი, საგნის მასწავლებლები, მშობლები და ბავშვის ცხოვრებაში ჩართული ყველა პირი უნდა მონაწილეობდეს. თუ ეს ჯგუფიც ვერ უმკლავდება სირთულეს, მაშინ საჭირო ხდება დამატებითი დახმარების მოთხოვნა. ზოგადად, ძალიან მნიშვნელოვანია სკოლის ფსიქოლოგური სამსახურის სისტემის შექმნაზე ზრუნვა, რადგან მენტალური ჯანმრთელობა უპირველესია მოქალაქის ჩამოყალიბებაში.

მნიშვნელოვანი რამ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების განათლების სისტემაზე დაკვირვებით ვისწავლე, არის „ნაკლებად შემზღუდავი გარემოს“ კონცეფცია, რომელიც გულისხმობს შემდეგს: ყველა ღონისძიება თუ აქტივობა, რომელიც ხორციელდება კონკრეტული ინდივიდისთვის, უნდა პასუხობდეს ძირითად მოთხოვნას – იყოს განმავითარებელი, მისი ჩართულობის და კეთილდღეობის გამაძლიერებელი. ინკლუზიური განათლების კონცეფცია ზოგჯერ არ პასუხობს თითოეული ინდივიდის მოთხოვნას ადეკვატურად. ზოგიერთ შემთხვევაში, ყველა ბავშვისთვის ვერ იქნება სასარგებლო ზოგადსაგანმანათლებლო კლასში მხოლოდ ფორმალურად ყოფნა, თუ ის ვერ იღებს სარგებელს პროცესებში თანამონაწილეობით. ყველასათვის ეს სივრცე ვერ იქნება „ნაკლებად შემზღუდავი გარემო“, სადაც მოსწავლე მაქსიმალურად ჩართული იქნება საგაკვეთილო პროცესში და სიამოვნებას მიიღებს ამისგან. ეს პროცესი არ უნდა იყოს ფორმალური, მარტო იმიტომ, რომ ინკლუზიური განათლების იდეა კარგი და სასარგებლოა. საჭიროებათა მრავალფეროვნებიდან გამომდინარე ბავშვებსაც უნდა ჰქონდეთ არჩევნის საშუალება, მშობლებსაც და მასწავლებლებსაც და უნდა არსებობდეს მაღალი ხარისხის რესურს სკოლები, ინტეგრირებული კლასები. როდესაც ქვეყანაში სკოლა დამოუკიდებლად ვერ ფარავს მოსწავლის საჭიროებებს, უნდა გაძლიერდეს ბავშვის მხარდამჭერი სხვა სისტემები, როგორიცაა მაგალითად, სოციალური ზრუნვა, ჯანდაცვა თუ სხვა, რათა განათლების სისტემისა და მის გარეთ არსებული ძალების გაერთიანებით, მაქსიმალურად მოხდეს ბავშვისთვის აუცილებელი სერვისების მიწოდება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი დამოუკიდებლობის, კეთილდღეობისა და ჩართულობის უზრუნველყოფა.

სწავლის უნივერსალური დიზაინის როლი ინკლუზიურ განათლებაში

სოფიკო ცირგაია
ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის კოორდინატორი

უკანასკნელ წლებში სულ უფრო აქტუალური ხდება საგანმანათლებლო სივრცეში ინკლუზიური განათლების დანერგვისა და მართვის საკითხი. ამ მხრივ, გამონაკლისს არ წარმოადგენს ქართული საგანმანათლებლო სფეროც, რომელიც, ინკლუზიური განათლების ეფექტიანად წარმართვის კუთხით, აქტიურად ახდენს საერთაშორისო სამეცნიერო გამოცდილების გაზიარებას და მის საკუთარ რეალობაზე მორგებას.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობის გასამარტივებლად, ინკლუზიური განათლება გვთავაზობს სწავლების მეთოდების საკმაოდ მრავალფეროვან არჩევანს, რომელსაც მასწავლებელი ინდივიდუალურად უსადაგებს თითოეულ მოსწავლეს, მისი საჭიროებებიდან გამომდინარე. თუმცა, ამასთან ერთად, არსებობს ე.წ. სწავლის უნივერსალური დიზაინი, რომელიც, სახელწოდებიდან გამომდინარე, ნათლად მიუთითებს მისი გამოყენების უნივერსალურ შედეგიანობაზე და განიხილება როგორც ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი ეფექტური სწავლების გზა.

უნივერსალური დიზაინის ფილოსოფიით, რაც გულისხმობს იმას, რომ ყველასათვის ხელმისაწვდომი გარემოს არსებობა, მიუხედავად თითოეული ადამიანის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა, არ ნარმოადგენს განსაკუთრებულ მოთხოვნას; ის აუცილებელი და მხოლოდ სარგებლის მომტანია.

აღსანიშნავია, რომ ტერმინი „სწავლის უნივერსალური დიზაინი“ დაკავშირებულია ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის, ნეიროფსიქოლოგ დევიდ როუზის სახელთან, რომელმაც მეცნიერ ანნ მეიერთან ერთად, ჯერ კიდევ სამი ათეული წლის წინ პირველმა სცადა აღნიშნული მეთოდის მორგება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებზე, მათი სასწავლო პროცესში ინტეგრირების მიზნით. თუმცა თავად ტერმინი „უნივერსალური დიზაინი“ შთაგონებულია ე.წ. უნივერსალური დიზაინის ფილოსოფიით, რაც გულისხმობს იმას, რომ ყველასათვის ხელმისაწვდომი გარემოს არსებობა, მიუხედავად თითოეული ადამიანის ინდი-

ვიდუალური შესაძლებლობებისა, არ წარმოადგენს განსაკუთრებულ მოთხოვნას; ის აუცილებელი და მხოლოდ სარგებლის მომტანია.

აღნიშნულ კონტექსტში, არქიტექტორმა რონალდ მეისმა 1987 წელს პირველმა გამოიყენა ტერმინი „უნივერსალური დიზაინი“, როდესაც შეიმუშავა მაქსიმალურად გამოსაყენებელი უნივერსალური არქიტექტორული დიზაინი ნებისმიერი ასაკისა და შესაძლებლობის მქონე ადამიანისათვის. მეისმა, საკუთარ კოლეგებთან ერთად, ჩამოაყალიბა გარემო დიზაინის შექმნისთვის აუცილებელი შვიდი პრინციპი, რომელიც მოგვიანებით მიესადაგა მოსწავლეთა სწავლების პროცესსაც.

უდავოა, რომ სწავლის უნივერსალური დიზაინის დადებითი შედეგებიდან გამომდინარე, ის დღესაც აქტიურად გამოიყენება საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

სწავლის უნივერსალური დიზაინის პრინციპების უკეთ გასააზრებლად შეგვიძლია მისი დიაგრამის სახით წარმოდგენა:



უნდა აღვნიშნოთ, რომ სწავლის უნივერსალური დიზაინი ეფუძნება სამ ძირითად კომპონენტს:

- ინფორმაციის წარდგენის მრავალფეროვანი გზა –რას ვსწავლობ, რას ვკითხულობ, რა მესმის, რას ვხედავ?
- გამოხატვის მრავალფეროვანი გზა – როგორ ვსწავლობ და რა აქტივობებს მივმართავ მიღებული ცოდნის გადმოსაცემად?
- მოტივაციის მრავალფეროვანი გზა–რატომ ვსწავლობ და რა არის მოტივაცია, რომელიც მარწმუნებს მიღებული ცოდნის ეფექტური გამოყენების შესაძლებლობაში?

მსგავს კონტექსტში, პირველი პრინციპი სრულად ეფუძნება აღიარებას მოსწავლეთა მხრიდან და ფოკუსირებულია მოსწავლეთა მოლოდინებზე – რას მოელიან ისინი სწავლების პროცესში და შემდეგ რა კონკრეტულ შედეგებს წარმოიდგენენ.

ეს პრინციპი ყურადღებას ამახვილებს ინფორმაციისა და შინაარსის სხვადასხვა გზით გადაცემა-წარმოდგენაზე, რაც გულისხმობს ვერბალური და არავერბალური გზით ცოდნის დაგროვებას, აუდიოვიზუალური რესურსების გამოყენებას და ა.შ..

ამ პრინციპის პრაქტიკაში დასანერგად, მასწავლებელს შეუძლია, გამოიყენოს აუდიო და ვიზუალური მასალები; კონკრეტულ თემატიკაზე საუბრისას, სასურველია მოსწავლეს ჰქონდეს წვდომა ანიმაციურ ვიდეო რგოლებზე; ასევე, შესაძლებელია სიმულაციური თამაშების მეთოდის გამოყენება. ყველაფერთან ერთად, უაღრესად მნიშვნელოვანია, მოსწავლეს მიეცეს საშუალება, შეიტანოს ცვლილებები არსებულ მატერიალურ მასალაში – შეამციროს ან გაზარდოს ფონტის ზომა, შეუცვალოს გარეგნობა პერსონაჟს, არსებული მუსიკა შეცვალოს ახლით და ა.შ..

სწავლის დიზაინის მეორე პრინციპი წარმოადგენს ერთგვარ სტრატეგიულ ქსელს, რომლის მიზანიცაა მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობა და მათი ინტერაქცია სასწავლო პროცესში. ამიტომ აქცენტი კეთდება მოსწავლეთა ცოდნაზე და განსაკუთრებით იმაზე, თუ როგორ შეუძლიათ მათ ამ ცოდნის დემონსტრირება და საკუთარი კომპეტენციების გამოყენება.

აღნიშნული თეორიის პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვისათვის, მოსწავლეთა წასახალისებლად,

მასწავლებელს შეუძლია, დავალების მიცემისას, მათ შესთავაზოს თვითგამოხატვის მრავალფეროვანი გზა –ტექსტის შედგენა, ილუსტრაციის დახატვა, კომიქსის დამზადება, ვიდეო რგოლის შექმნა თუ სხვა.

მოსწავლეთა ჩართულობის თითოეული საშუალება ფოკუსირებულია ნებისმიერი მოსწავლის სწავლის ინტერესისა და მოტივაციის სტიმულირებაზე. სწორედ ამიტომ, მესამე პრინციპი განსაზღვრავს სტრატეგიებს, რომელიც გულისხმობს ინტერესის გაღვიძების, ძალისხმევისა და გამძლეობის შენარჩუნების, თვითრეგულირების შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

მაგალითად, უცხო ენის/ენების ენთუზიაზმით შესასწავლად, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა მოსწავლეს გაუღვიძოს ინტერესი იმ კონკრეტული ქვეყნის/ქვეყნების მიმართ, რომელშიც იგი შეძლებს ამ კონკრეტული ენის გამოყენებას.

პარალელურად, მასწავლებელი მუდმივად უნდა იღებდეს უკუკავშირს მოსწავლეთა მხრიდან, რათა ობიექტურად შეაფასოს საკუთარი მეთოდის ეფექტუნარიანობა; ასევე ის, თუ რამდენად სასარგებლოდ მიიჩნევენ მოსწავლეები მასწავლებლის მეთოდს და ხედავენ თუ არა რაიმე სახის ხარვეზს მასწავლებლის მიერ არჩეულ და შემუშავებულ სტრატეგიაში.

ამრიგად, სწავლის უნივერსალური დიზაინი ინკლუზიურ განათლებაში წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ გზას, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესს ხდის უფრო საინტერესოს, სახალისოს და ეფექტურს როგორც მასწავლებლისთვის, ასევე მოსწავლისთვის. რაც ყველაზე მთავარია, აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს მოტივაციისა და ინტერესის გაღვივებას თითოეულ ინდივიდში, მიუხედავად მისი ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობისა. გრძელვადიან პერსპექტივაში კი მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ არ მოხდება სპეციალური საჭიროების პირთა გამიჯვნა სოციუმში და თითოეული ინდივიდი მოახერხებს საზოგადოებაში სრულ ინტეგრაციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Behrmann, J. (2000). Oh, the places you'll go with e-text. Teaching Exceptional Children, 33(5), 90-92.
2. Chang, B. V., Tremblay, K. R., & Dunbar, B. H. (2000). An experimental approach to teaching universal design. Education
3. Gordon, D. (2009). A policy reader in universal design for learning. Cambridge, Mass.: Harvard Education Press.
4. Meyer, A. & O'Neill, L. M. (2000b, May). Tools and materials that support the learning brain. Exceptional Parent, 30(5), 59-61.
5. Rose, D.H., Meyer, A., & Hitchcock, C. (Eds.).(2005). The universally designed classroom:
6. Accessible curriculum and digital technologies. Cambridge, MA: Harvard University Press.
7. Rose, D., & Meyer, A. (2002). Teaching every student in the digital age. Alexandria, VA:
8. ASCD – http://www.cast.org/teachingeverystudent/ideas/tes/
9. Schaff, J. I. (2005). Universal Design for Learning and its implications in the early childhood education classroom. Exceptional Individuals, 29(6), 16-19.
10. Schwanke, T.D., Smith, R.O., & Edyburn, D.L.(2001, June 22-26). A3 model diagram developed as accessibility and universal design instruc-tional tool. RESNA 2001 Annual Conference Proceedings, 21, RESNA Press, 205-207.
11. Nelson, L. (2014). Design and deliver: Planning and teaching using universal design for learning. Baltimore, MD: Paul H. Brookes Publishing Company.
12. UDL Interactions: Universal Design for Learning and Universal Design. Retrieved from http://www.udlcenter.org/sites/udlcenter.org/files/UDL-DI%20BRIEFfinal.pdf

თამარ ისაკაძე
ფსიქოლოგი, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის კონსულტანტი

განმავითარებელი აქტივობები

მნიშნელოვანია, ბავშვები ჩართული იყვნენ განმავითარებელ აქტივობებში, რომელიც მათი ასაკისა და შესაძლებლობების შესაბამისი იქნება; ეს ხელს შეუწყობს თვითაღქმას, აკადემიურ მიღწევებს, სოციალურ და კოგნიტურ განვითარებას.

ბავშვის განვითარება გულისხმობს ცვლილებებს და წინსვლას ფიზიკურ, სოციალურ, შემეცნებით, ენობრივ და ემოციურ სფეროში. ჰარმონიული განვითარებისთვის ამ პროცესში უპირობოდ მნიშვნელოვანია მშობლების, მასწავლებლებისა და მთლიანად გარემო ფაქტორების ზეგავლენა, განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა, სხვადასხვა განმავითარებელი აქტივობის დაგეგმვა და ჩატარება, ასაკისა და შესაძლებლობების მიხედვით.

რატომ არის მნიშვნელოვანი განმავითარებელი აქტივობები ბავშვისთვის?

განმავითარებელი აქტივობები ბავშვს ხელს უწყობს შემეცნებითი შესაძლებლობების, სოციალური უნარების, ემოციური სიმწიფისა და ენობრივი უნარების განვითარებაში. ის საშუალებას აძლევს ბავშვებს, კონტაქტი დაამყარონ ერთმანეთთან და შეიმეცნონ საკუთარი შესაძლებლობები. სწორედ ამიტომ მნიშნელოვანია, ბავშვები ჩართული იყვნენ განმავითარებელ აქტივობებში, რომელიც მათი ასაკისა და შესაძლებლობების შესაბამისი იქნება; ეს ხელს შეუწყობს თვითაღქმას, აკადემიურ მიღწევებს, სოციალურ და კოგნიტურ განვითარებას.

განმავითარებელი აქტივობები კავშირშია იმ საგანმანათლებლო კონცეფციასთან, რომელიც „თამაშით სწავლის“ სახელითაა ცნობილი. აღსანიშნავია, რომ განმავითარებელი აქტივობები რომ ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული იყოს, აუცილებელია მათი წინასწარი დაგეგმვა, მიზნის, აქტივობების, სტრატეგიების, რესურსების, მონაწილე პირებისა და დროის განსაზღვრა. განმავითარებელი აქტივობები მაშინ არის ეფექტური, როდესაც ის მოიცავს სტრატეგიებს ბავშვის ცოდნისა და უნარების განვითარებისთვის, მათ შორის იგულისხმება სწორი ინსტრუქციების მიცემა, დადებითი უკუკავშირი, განმავითარებელი კომენტარი, დაბალანსებული დახმარება, შექება და სხვა.

ცნება „განმავითარებელი თამაში“ გულისხმობს ისეთი ტიპის აქტივობებს, რომელიც ხელს უწყობს ბავშვების განვითარებას ფიზიკური, შემეცნებითი,

პიროვნული და სოციალური მიმართულებებით. თამაშის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია ბავშვის ასაკობრივი განვითარების თავისებურებების გათვალისწინება. განმავითარებელი თამაშები ხელს უწყობს ახალი უნარ-ჩვევების განვითარებას, ვითარდება სააზროვნო უნარები, მეტყველება, კრეატიულობა (შემოქმედებითობა), უნარ-ჩვევების გარდა, ბავშვი იძენს ცოდნას და ინფორმაციას იმ თემებზე, რომელიც მისთვის აქამდე უცხო იყო. იმავდროულად აღსანიშნავია, რომ თამაში ბავშვის ბუნებრივი და წამყვანი ქცევაა; ამრიგად, თამაშით სწავლა მისთვის სპონტანური და სახალისო პროცესია.

1. განმავითარებელი აქტივობების ფიზიკური სარგებელი

ბავშვის ასაკისა და შესაძლებლობის შესაბამის განმავითარებელ აქტივობებში ჩართულობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობა არის ის, რომ ეს ხელს უწყობს მის ფიზიკურ ჯანმრთელობას და განვითარებას. ფიზიკური აქტივობები ხელს უწყობს წონასწორობის დაცვას, მოძრაობას, საკუთარი სხეულის აღქმას სივრცეში, ნატიფი მოტორული უნარების განვითარებას. მოტორული აქტივობები ბავშვებს თავდაჯერებულობისა და თვითშეფასების განვითარებაშიც ეხმარება.

2. განმავითარებელი აქტივობების შემეცნებითი სარგებელი

თუკი აქტივობები ერთგვარი გამოწვევა იქნება, ის ბავშვს მისცემს შესაძლებლობა, რომ დაუშვას შეცდომები, იპოვოს გამოსავალი და გადაჭრას პრობლემა. სწავლა არასოდეს არის მზა პასუხების მიწოდება, სწავლა თავსატეხებისა და პრობლემების ამოხსნის პროცესში მიიღწევა. ცდისა და შეცდომის პროცესში ბავშვი აკეთებს აღმოჩენებს, იძენს გამოცდილებას, ეზრდება წარმატების მიღწევის მოტივაცია.

შემეცნებითი უნარების განმავითარებელი აქტივობები ხელს უწყობს აღქმის, ყურადღების კონცენტრაციის, მეხსიერების, აზროვნების, წარმოსახვის, პრობლემის გადაჭრის, კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას; როდესაც ბავშვები იწყებენ მიზეზისა და შედეგის გაგებას, ვითარდება მათი ლოგიკური აზროვნება.

3. განმავითარებელი აქტივობების ენობრივი სარგებელი

განმავითარებელი აქტივობები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის განვითარებას. ეს განსაკუთრებით ცხადი ხდება მაშინ, როდესაც აქტივობის პროცესში წახალისებულია ინტერაქცია – ბავშვები სწავლობენ ახალ სიტყვებს, დიალოგურ მეტყველებას. ამ დროს მნიშვნელობას იძენს განხორციელებული მოქმედებების გახმოვანება, სიტყვიერი აღწერა უფროსების/მასწავლებლების მხრიდან.

4. განმავითარებელი აქტივობების სოციალური და ემოციური სარგებელი

განმავითარებელი აქტივობები ასწავლის ბავშვებს ემოციების უკეთ კონტროლისა და რეგულირების ახალ გზებს. ერთობლივი თამაში ეხმარება მათ, გააცნობიერონ რეალური სიტუაციები, როგორიცაა ნივთების გაზიარება და სოციალური წესების დაცვა. აქტივობა ამ დროს ერთგვარი სიმულაციაა, რომ ბავშვმა ისწავლოს, როგორ უპასუხოს სხვების ემოციებს რეალურ ცხოვრებაში, უკეთ მოახდინოს ადაპტირება საზოგადოებაში; ბავშვს უვითარდება ისეთი სოციალური უნარები, როგორიცაა ემოციური ინტელექტი და თანაგრძნობა. ყოველივე ამის შედეგად კი, ბავშვები შეძლებენ უკეთესად გააცნობიერონ და გადმოსცენ სიტყვებით თავიანთი ემოციები.

განმავითარებელი აქტივობები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის

სკოლის ასაკის ბავშვებისთვის მიზანშეწონილია ისეთი სასწავლო და განმავითარებელი შემოქმედე-

ბითი აქტივობები, როგორიცაა – როლური თამაშები, სამაგიდო თამაშები, ხელოვნება, მუსიკა, სენსორული აქტივობები, ბუნებასთან სიახლოვე, ინტერაქტიული თამაშები. სასკოლო სივრცეში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის აქტიურად გამოიყენება სამუშაო ფურცლები და ბარათები. მნიშვნელოვანია, ბარათებსა და სამუშაო ფურცლებზე დატანილი სავარჯიშოები იძლეოდეს გამოჭრის, გაფერადების საშუალებას, რათა გაიზარდოს მოსწავლის მონაწილეობა და აქტიურობა. მსგავსი ბარათების დამზადება შეიძლება როგორც კოგნიტური, ისე აკადემიური უნარების განვითარების ხელშეწყობისთვის და ის ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და ინტერვენციის გეგმის ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

განმავითარებელი და მრავალფეროვანი აქტივობები მეტად იძლევა ისეთი სწავლების სტრატეგიების გამოყენების შესაძლებლობას, როგორიცაა მულტიმოდალური მიდგომა, სწავლა კეთებით, აღმოჩენით სწავლა და სხვა. ცნობილია, რომ ეს სტრატეგები სწავლებას უფრო შედეგიანს ხდის, რადგან ეფექტურად ეხმარება მოსწავლეებს აღქმაში, ყურადღების ფოკუსირებაში, პრობლემის გადაჭრასა და დამახსოვრებაში.

გთავაზობთ, რამდენიმე განმავითარებელ აქტივობას, რომელთა გამოყენება სახალისო და შემოქმედებითი იქნება წერა-კითხვის სწავლების საწყის ეტაპზე, ხელს შეუწყობს წერისა და კითხვის წინმსწრები უნარების განვითარებას:

1. ფურცლებზე წინასწარ დახატეთ ფართოკონტურებიანი დიდი ზომის ასოები ან ამობეჭდეთ. ერთი ასო უნდა ავსებდეს მთელ ფურცელს და იყოს საკმაოდ დიდი ზომის, ფართო კონტურებით. მოსწავლემ კონტურებს შორის არსებული სივრცე უნდა შეავსოს მძივებით, დაჭრილი საწრუპებით ან პატარა ღილებით. მუშაობისას ხშირად გაახმოვანეთ მოქმედებები: „ეს არის ასო „ა“, ასო „ა“ ნელ-ნელა ივსება, ახლა შევუვსოთ ასო „ბ“-ს მუცელი“ და ა.შ.



2. მუყაოს ყუთზე ამოჭერით მცირე ადგილები, ისე რომ სამედიცინო ხის ჩხირი ადვილად ჩამაგრდეს. ამოჭრილ ადგილებთან დაწერეთ ანბანის ასოები; ასევე, ანბანის ასოები დააწერეთ ჩხირებს. მოსწავლემ უნდა მოძებნოს სამიზნე ასო და შესაბამისი ჩხირი ჩაარჭოს ყუთში.

სამიზნე ასოების რაოდენობა შეარჩიეთ მოსწავლის სასწავლო მიზნიდან გამომდინარე, დაიწყეთ ნაცნობი ასოებით და თანდათან შემოიტანეთ ახალი სიმბოლოებიც.

ამ აქტივობის გართულებული ვარიანტია, ჩხირებზე სიტყვების დაწერა და შესაბამისი ადგილების მოძებნა.

3. ამ აქტივობისთვის თქვენ გჭირდებათ პატარა სურათები სხვადასხვა საგნის გამოსახულებით. ასევე, ერთი მთლიანი ფურცელი, რომელზეც უჯრებში წერია სიტყვები; მოსწავლემ უნდა შეარჩიოს სიტყვის შესაბამისი სურათი და დაადოს იმ უჯრას, რომელზეც სიტყვა წერია.

აქტივობის დაწყებამდე დარწმუნდით, რომ ყველა სიტყვის მნიშვნელობა და სურათები ბავშვისთვის ნაცნობია.



4. სარეცხის ხის სარჭებს დააწერეთ ასოები. ბარათებზე დაწერეთ სამიზნე სიტყვები, მათ შორის ბავშვის სახელი. სთხოვეთ მოსწავლეს მოძებნოს შესაბამისი ასოს გამოსახულების მქონე სარჭი და მოარგოს ასოს გასწვრივ ბარათზე.

შესაძლებელია, პირველ ეტაპზე მხოლოდ საკუთარი სახელის შესაბამისი ასოები დავაწეროთ სარჭებს, ხოლო ბარათზე ბავშვის სახელი.

დახმარების მიზნით, შესაძლებელია, მოსწავლეს ხის სარჭები თანმიმდევრობით მივაწოდოთ, შემდეგ ავურიოთ და წავახალისოთ, დამოუკიდებლად მოძებნოს შესაბამისი ასოები.

5. მუყაოსგან გამოჭერით პატარა ბარათები, დააწერეთ სხვადასხვა ასო ისე, რომ კონტურები შედარებით ფართო იყოს. სთხოვეთ მოსწავლეს აიღოს პლასტილინი, მისცეს მას გრძელი ფორმა და ამოავსოს ასოები. თავდაპირველად თქვენ აჩვენეთ მაგალითი, ნიმუში; შემდეგ ცდაზე დაეხმარეთ გააკეთოს დამოუკიდებლად.





6. მუყაოზე ამოჭერით სხვადასხვა ფორმის შიდა კონტურები: ზიგზაგები, სწორი ხაზები, ოვალები. მუყაოს კონტურები მიაწებეთ დაფას ან დაამაგრეთ ფურცელზე, სთხოვეთ მოსწავლეს მარკერით გადაატაროს ხაზები შიდა კონტურებზე.



7. ფურცელზე დახაზეთ ხაზები, რომლებსაც სხვადასხვა ფერის დაბოლოებები ექნება, ისე, როგორც სურათზეა ნაჩვენები. პარალელურად მოამზადეთ შემდეგი მასალა – ჩვეულებრივ ყურის ჩხირებს შეუღებეთ ბოლოები სხვადასხვა ფერით, ისე რომ მოცემული ნახატების იდენტური მასალა გამოვიდეს. სთხოვეთ მოსწავლეს, დახაზული ხაზების მიხედვით დაადოს ჩხირები ფურცელზე. თუ, მოსწავლეს უჭირს თავდაპირველ ეტაპზე აღნიშული დავალების შესრულება, შეამცირეთ სტიმულ – მასალა, შესთავაზეთ მხოლოდ ერთი ან ორი ნახაზი, როცა გავარჯიშდება ინსტრუქციის შესრულებაში, შემდეგ გაართულეთ და დაამატეთ სავარჯიშოები. გამოიყენეთ მინიშნება – თითით აჩვენეთ შესაბამისი ადგილი, თუ ამის საჭიროება იქნება პირველ ეტაპზე.

8. მოსწავლეს შესთავაზეთ სამუშაო ფურცელი, რომელზეც სხვადასხვა რეფლექსიისთვის საჭირო სტიმულ-სიტყვები იქნება დაწერილი. მაგალითად: მე ვარ..., მე მიყვარს..., მე ვგრძნობ... და ა.შ.. იმსჯელეთ მასთან ერთად და დაეხმარეთ, მოიფიქროს და დაამთავროს წინადადებები.

იგივე აქტივობის განხორციელება შეიძლება კომპიუტერში, კლავიატურის გამოყენებით.

9.. შესთავაზეთ მოსწავლეს დაწერილ სიტყვათა ნაკრები და შესაბამისი თვალსაჩინო მასალა. მოსწავლემ უნდა ჩაწეროს სიტყვის პირველი ასო.

გამოიყენეთ შემდეგი დახმარების სტრატეგიები:

- შესაბამისი პირველი ასოს ზეპირად კარნახი
- სურათის დასახელება და პირველი ასოს იდენტიფიცირება, ჩაწერა
- დაწერილი სიტყვის ნიმუშის მიხედვით დავალების შესრულება (სწორად გადაწერა)
- წინასწარ საჭირო ასოების ჩაწერა და მოსწავლესთან მსჯელობის შედეგად სწორი ასოს შერჩევა

შესაძლებელია, სხვა ტექნიკების გამოყენება, სიტყვაში გამოტოვეთ მეორე ან შუა ასო, ბოლო ასო.



10. შეარჩიეთ მოსწავლისთვის იმ სიტყვების ჩამონათვალი, რომლის კითხვა და წერილობითი პასუხების გაცემა, თუნდაც დახმარებით, უკვე შეუძლია. მოსწავლესთან ერთად ჯერ შეხედეთ სურათს, აღწერეთ ის, შემდეგ წაიკითხეთ ინსტრუქცია ან შეკითხვა, მოიფიქრეთ პასუხი და დაეხმარეთ მის წერილობით ჩამოყალიბებაში.

დახმარების მიზნით, შესაძლებელია, მოსწავლის მიერ დასახელებული პასუხის კარნახით ჩაწერა ან გადაწერა.

ბოლოს იზრუნეთ სამუშაო ფორმატის ვიზუალურ მხარეზეც, მოსწავლეს მიეცით საშუალება, გააფერადოს ის თავისი გემოვნებით.

მსგავსი დავალების შესრულება შესაძლებელია აპლიკაციის ფორმითაც, თუკი მოსწავლეს ვთხოვთ, გამოჭრას ფერადი ფურცლებისგან სურათის შესაბამისი ფიგურები, ფორმები და დააწებოს. ეს სხვა უნარების განვითარებასაც შეუწყობს ხელს – ნატიფი მოტორიკის, ნიმუშის მიხედვით გამოჭრის და სხვა.

11. შესთავაზეთ მოსწავლეს საინტერესო განმავითარებელი აქტივობა, სინზე დაყარეთ ქვიშა (ქვიშის ნაცვლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფქვილი, მანის ბურღული). თავდაპირველად მოსწავლეს მიეცით საშუალება, ხატოს ქვიშაზე სურვილისამებრ, რათა მიიღოს გამოცდილება და განივითაროს სენსორული ჩვევები. შემდეგ გადადით ასოების წერის ეტაპზე. მოათავსეთ სინის წინ მოძრავი მაგნიტური ასოები და სთხოვეთ გადახატოს მსგავსი ასოები ქვიშაზე. ეს პროცესი სახალისო და განმავითარებელია.



12. წერის უნარი ვითარდება სიტუაციური ამოცანების კონტექსტში. გამოიყენეთ შემდეგი სიტუაცია, შესთავაზეთ მოსწავლეს, მისწეროს წერილი დედას, მასწავლებელს, დას ან სხვ..

წერილის მიწერამდე მოსწავლეს აჩვენეთ სხვა, უკვე დაწერილი წერილები. მსგავსი მასალა შეგიძლიათ მოიძიოთ ინტერნეტში ან ნიმუშები წინასწარ მოამზადოთ.

ასწავლეთ მოსწავლეს, დაიცვას მიმართვის ფორმა და წერილის წერის სხვა წესები.

სთხოვეთ ბავშვს, გააფორმოს წერილი ნახატებით, დაამზადოს კონვერტი ან მოხატოს უკვე დამზადებული კონვერტი, რომელშიც წერილს განათავსებს.

შესაძლებელია, აქტივობა განვახორციელოთ ღია ბარათების გამოყენებით.

13. მოსწავლის წინ განათავსეთ ბარათები, რომლებზეც სხვადასხვა სიუჟეტია განთავსებული. აღწერეთ მასთან ერთად, გამოიყენეთ სიტყვები: „ამის შემდეგ, მანამდე, პირველად, ბოლოს...“. შემდეგ სთხოვეთ, ბარათების გამოყენებით შეადგინოს ამბავი და დაწეროს.

14. წააკითხეთ მოსწავლეს ტექსტი, შემდეგ სთხოვეთ, იპოვოს ტექსტში შესაბამისი ადგილები, დაუსვით შეკითხვები:

მაგალითად, „სად ეწერა სიტყვა „მელია“?

სად ეწერა წინადადება „მელია შეხვდა დათვს“? და ა.შ..

დაეხმარეთ ბავშვს შესაბამისი ადგილის მოძებნაში, ეს დაეხმარება მას ტექსტის გააზრებასა და დეკოდირებაში. შემდეგ შესთავაზეთ წინასწარ მომზადებული შეკითხვები, რომლის პასუხებიც ტექსტში უნდა მოძებნოს და დაწეროს.

კითხვები და პასუხები, სასურველია, სხვადასხვა ფერის კალმით იყოს შესრულებული, ეს მოსწავლეს აღქმასა და გააზრებაში დაეხმარება.

15. ცალკეულ ბარათებზე ამოწერეთ წიგნში მოცემული ტექსტიდან აღებული წინადადები, რომლებშიც ერთი სიტყვა იქნება გამოტოვებული.

მოსწავლემ ტექსტის მიხედვით უნდა მოძებნოს და ჩაწეროს გამოტოვებული სიტყვა წინადადებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Play and Child Development, Joe L. Frost, Sue Clark Wortham, Robert Stuart Reifel, Pearson
2. The Power of Play: How Spontaneous, Imaginative Activities Lead to Happier, Healthier Children; David Elkind, Hachette Books
3. Guiding Children's Social Development: Theory to Practice, Marjorie J. Kostelnik, Delmar



ინკლუზიური პროფესიული განათლება საქართველოში

მარიკა ზაქარეიშვილი

ორგანიზაცია „ინოვაციები ინკლუზიური განათლებისათვის“ დამფუძნებელი, ინკლუზიური განათლების ექსპერტი

პროფესიული განათლება მამორჩეულად საინტერესო მიმართულებაა განათლების სისტემაში. სასწავლო პროცესში ერთმანეთთან შერწყმულია პრაქტიკული და თეორიული კომპონენტი.

შესავალი

განათლების ინკლუზიურობა ფართო ცნებაა და გულისხმობს ყველასთვის ისეთი ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, რომელიც იქნება მოქნილი და ნებისმიერი მოწყვლადი ჯგუფის მხარდამჭერი. აღნიშნულ სტატიაში საკითხი უფრო ვიწრო ჭრილში იქნება წარმოდგენილი და შეეხება პროფესიულ სასწავლებლებში კონკრეტული ჯგუფისთვის, კერძოდ, შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის შექმნილი მხარდამჭერი მექანიზმების აღწერას.

სანდრო ორი წლის იყო, როდესაც ოჯახმა მისი სმენასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პრობლემები აღმოაჩინა. მშობლები ყურადღებიანები აღმოჩდნენ, დაიწყეს ბავშვისათვის ჟესტური ენის სწავლება, თავადაც ჩაერთნენ ენის შესწავლის პროცესში. დიდი ძალისხმევის შედეგად, სანდრო ერთი წელი ბაღშიც ატარეს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, სანდრო რესურს სკოლაში ჩაირიცხა. მისთვის სასწავლო პროცესი ადვილად დასაძლევი არ აღმოჩნდა, უწევდა სხვადასხვა ბარიერისათვის თავის გართმევა, თუმცა, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, გარემოს შეეგუა, სასწავლო შედეგები გააუმჯობესა და მეგობრებიც შეიძინა.

სკოლის დასრულებისთანავე სანდრო ახლი გამოწვევებისა და სირთულეების წინაშე დადგა. ბუნდოვანი იყო, რა შეიძლებოდა ყოფილიყო შემდგომი ნაბიჯი. საიდან უნდა დაეწყოთ? სახლში დარჩენა, ყოველგვარი საქმიანობის გარეშე, კატასტროფად ეჩვენებოდა მასაც და მის ოჯახსაც. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება სანდროსთვის გამოწვევას წარმოადგენდა. სიტუაციისა და სხვადასხვა შესაძლებლობის გარკვევის შედეგად, აღმოაჩინეს, რომ განათლების სისტემაში, სკოლისა და უმაღლესი განათლების გარდა, არსებობს პროფესიული საგანმანთლებლო დაწესებულებები, სადაც ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც აქვს ატესტატი, შეუძლია მისთვის საინტერესო პროფესია შეარჩიოს. სანდროს ბევრი არ უფიქრია, რადგან გატაცებული იყო კულინარიით და არაპროფესიონალის კვალობაზე საკმაოდ კარგად გამოსდიოდა. შესაბამისად, მან მოინახულა რამდენიმე კოლეჯი, რომელსაც კულინარიის მიმართულება ჰქონდა, შეარჩია კონკრეტული, დარეგისტრირდა და, პროფესიის პრაქტიკულად მოსინჯვის გზით, მოხვდა სასურველ პროგრამაზე. სწავლის პერიოდშივე გადიოდა პრაქტიკულ მეცადინეობებს ერთ-ერთ ცნობილ სასტუმროთა ქსელში, სადაც სწავლის დასრულების შემდეგ გააგრძელა კიდეც მუშობა.

სანდროს ისტორია შიძლება განზოგადებულ იქნეს. დღეს ბევრი მოზარდი, რომელიც სკოლას ამთავრებს (მე-9 ან მე-12 კლასში), დგება შემდგომი განათლების საფეხურის არჩევანთან დაკავშირებული გამოწვევების წინაშე. ასევე, არიან ზრდასრული ადამინები, რომლებსაც ახალი პროფესიის შეძენის სურვილი აქვთ. კარიერული გზის დაგეგმვასთან და განათლების შემგომ შესაძლებლობებთან დაკავშირებული შიში, გაურკვევლობა და, ხშირ შემთხვევაში, ინფორმაციის ნაკლებობა, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, რადგან საკმაოდ მწირია სერვისები და საშუალებები, რომელიც მათ სკოლის შემდგომი გზის გაკვალვის პროცესში ეხმარება. მოცემულ სტატიაში საუბარი იქნება პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობებზე, რომელიც ყველასთვის და მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის არის ხელმისაწვდომი და მხარდამჭერი.

რატომ უნდა ავირჩიოთ პროფესიული განათლება?

პროფესიული განათლება გამორჩეულად საინტერესო მიმართულებაა განათლების სისტემაში. სასწავლო პროცესში ერთმანეთთან შერწყმულია პრაქტიკული და თეორიული კომპონენტი. ის განსაკუთრებით მომხიბვლელია იმ ადამიანებისთვის, ვისაც აინტერესებს პრაქტიკული, საკუთარი ხელით ან ტექნიკით/ტექნოლოგიებით შესასრულებელი საქმიანობები. როგორც თანამედროვე სამყაროში ამბობენ, პროფესიული განათლება არის ის, რაც აძლევს ადამიანს შესაძლებლობას, შექმნას პროდუქტი გონების, გულის და ხელების ერთდროული მონაწილეობით. პროფესიული განათლება მიმზიდველია რადგან:

- სასწავლო პროცესი მეტად პრაქტიკულია
- მაღალია დასაქმების შესაძლებლობა და წამოადგენს უმოკლეს გზას დასაქმებისკენ
- ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განათლების მხარდამჭერ სერვისებს

რას გულისხმობს პროფესიული განათლება?

პროფესიული განათლება წარმოადგენს განათლების საფეხურს, რომლიც ყველაზე მეტად არის დაკავშირებული ეკონომიკის წინსვლასა და ღია შრომის ბაზრის განვითარებასთან. ის ხელს უწყობს სათანადო უნარებით აღჭურვილი ადამიანური კაპიტალის მომზადებას, რომელიც საჭიროა ეკონომიკის სათანადო ფუნქციონირებისათვის. ის მოიცავს ისეთ მრავალფეროვან მიმართულებებს, როგორიცაა ინჟინერია და მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, აიტი ტექნოლოგიები, ტურიზმი, ტრანსპორტი და ლოგისტიკა, ჯანდაცვის მიმართულებები და სხვა.

პროფესიული განათლების სისტემაში წარმოდგენილია კერძო და სახელმწიფო დაწესებულებები. გეოგრაფიული განფენა მთელ საქართველოს მოიცავს. საგულისხმოა, რომ სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებლებში სასწავლო პროცესი 100% დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ, სტუდენტს ვაუჩერი მიჰყვება კერძო პროფესიულ სასწავლებელშიც.

საგულისხმოა, რომ სისტემაში მიმდინარე რეფორმების შედეგად, პროფესიული სასწავლებლების ფიზიკური გარემო, უმეტეს შემთხვევაში, მაღალი სტანდარტების შესაბამისია; სასწავლებლებში ტარდება ვორქშოფები, სადაც სტუდენტები პრაქტიკულ უნარებს ივითარებენ. პროფესიულ სასწავლებლებს აქვთ აქტიური კომუნიკაცია დარგობრივ ასოციაციებთან, კომპანიებთან, რათა

სასწავლო პროცესი მაქსიმალურად შეესაბამებოდეს იმ მოთხოვნებს, რაც ღია შრომის ბაზრისათვის არის რელევანტური.

პროფესიული განათლების მიწოდება სხვადასხვა მიდგომით ხორციელდება; ამოსავალი წერტილია ახალი მოდულებით აწყობილი პროგრამები და მიდგომაც იცვლება იმის მიხედვით თუ რა ხარისხით არის სწავლებაში ჩართული კერძო სექტორი.

მიდგომა	აღწერა
მოდულური	სასწავლო პროცესი ძირითადად პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებაში მიმდინარეობს, პრაქტიკული აქტივობები ვორქშოფებშია ინტეგრირებული და არის პრაქტიკის ადგილები, სადაც სტუდენტები, გარკვეული დროით, პრაქტიკულ აქტივობებში ერთვებიან.
დუალური	აღნიშნული მიდგომის დროს სასწავლო პროცესის 50% და მეტი კომპანიაში (რომელსაც სასწავლო საწარმოს სტატუსი აქვს მოპოვებული), რეალურ სამუშაო გარემოში ხდება. პროგრამის განხორციელებაში თანაბრად არის ჩართული პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება და კომპანია.
კოოპერაციული	სასწავლო პროცესი ძირითადად მიმდინარეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებაში, თუმცა სწავლის შედეგების თითქმის 50%-ის მიღწევაში, შესაძლოა, კომპანია/კომპანიები იყოს ჩართული.
ინტეგრირებული	აღნიშნული პროგრამები განკუთვნილია 9 კლასის ატესტატის მქონე პირებისათვის, ვისაც უნდა 12 კლასის დამამთავრებელ ატესტატთან გათანაბრებული პროფესიული განათლების დიპლომის მიღება. აღნიშნულ პროგრამებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მფლობელი დაწესებულებები ახორციელებენ, რომელთა კონკრეტულ პროფესიულ პროგრამებში ინტეგრირებულია სკოლის საშუალო საფეხურის (10-12 კლასი) შესაბამისი სწავლის შედეგებიც. პროგრამები 3-წლიანია და მათი წარმატებით დასრულების შემდეგ მიღებული დოკუმენტი, ერთი მხრივ, ადასტურებს კონკრეტული პროფესიის ფარგლებში მიღებულ კომპეტენციას და, მეორე მხრივ, უთანაბრდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დამამთავრებელ ატესტატს. აღნიშნული მიდგომა სულ რამდენიმე წელია ინერგება სისტემაში და ეტაპობრივად იზრდება იმ პროგრამების რაოდენობა, რომლებიც მსგავსი ფორმატით ხორციელდება.

თანამედროვე ტენდენციები ცხადყოფს, რომ მომავლის ეკონომიკა დაეფუძნება მუდმივ ინოვაციებს და ხელოვნურ ინტელექტს, რომელიც, ფაქტობრივად, ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილი ხდება (ავტოპილოტი მანქანები, დრონები, დიგიტალური ასისტენტები და სხვა). ტექნოლოგიის გავლენა შრომის ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებაზე გარდაუვალი და, ხშირ შემთხვევაში, პოზიტიურია, თუმცა ტექნოლოგიურმა პროცესმა შესაძლოა გაზარდოს სოციალური უთანასწორობაც (განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში) და დაარღვიოს შრომის ბაზრის არსებული პრინციპები. აღნიშნული საკითხი უკავშირდება როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ გამოწვევას. ევროპის ბევრ განვითარებულ ქვეყანაში უკვე შეიმჩნევა გაზრდილი მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ ადამიანურ კაპიტალზე და სულ უფრო ნაკლებია მოთხოვნა ადამიანებზე, რომლებსაც არასათანადო განათლება და უნარები აქვთ. შესაბამისად, შრომის ბაზარზე თითქოს ვიწროვდება სივრცე საშუალო უნარების მქონე ადამიანებისათვის. აღნიშნული ტენდენციის გათვალისწინებით,

საერთაშორისო მასშტაბითაც და საქართველოშიც პროფესიული განათლების სისტემა ცდილობს შექმნას პროფესიული პროგრამები, რომელიც მიმართულია კომპლექსური უნარების განვითარებაზე და ასევე, ქმნის ინკლუზიურ გარემოს, რათა სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე ადამიანებმა შეძლონ საჭირო უნარების განვითარება.

ინკლუზიური პროფესიული განათლება და მასთან დაკავშირებული სერვისები საქართველოში

პროფესიული განათლების სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩართვა 2016 წლიდან დაიწყო, ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით. პროცესი რეგულირებულია პროფესიული განათლების შესახებ კანონით, რომელიც 2018 წელს დამტკიცდა.

პროფესიულ სასწავლებლებში ყოველწლიურად საშუალოდ 300 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ირიცხება; შესაბამისად, შემუშავებულია მექანიზმები, რომელიც მათ სისტემაში შემოყვანასა და მხარდაჭერას ისახავს მიზნად.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა სისტემაში რეგისტრაციისა და ჩარიცხვის ალტერნატიული მექანიზმი

პროფესიულ პროგრამებზე სწავლის მსურველთათვის რეგისტრაცია, ხშირ შემთხვევაში, წელიწადში ერთხელ ცხადდება, მეტწილად გაზაფხულზე. ზოგადად, პროფესიულ სასწავლებელში მოხვედრისათვის აპლიკანტები გადიან შესაბამის შერჩევის პროცედურებს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის კი ჩარიცხვის ალტერნატიული წესი მოქმედებს. **პირველი აუცილებელი ნაბიჯია** სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდი ახორციელებს აპლიკანტის/მშობლის/მეურვის მიმართვის საფუძველზე. შეფასება და, გარკვეულწილად, პროფესიული ორიენტაციაც დაინტერესებულმა ინდივიდმა შეიძლება წელიწადის ნებისმიერ დროს მოითხოვოს და არ დაელოდოს რეგისტაციის

გამოცხადებას. **მეორე ნაბიჯია ბაზაში რეგისტაცია.** პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრაციის გამოცხადების დროს აუცილებელია, ბაზაში მოინიშნოს, რომ პირი არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე. დაფიქსირების შემდეგ მოხდება მისი შეფასება, თუკი ინდივიდის დასკვნა ბაზაში არ იძებნება. რეგისტრაციისას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირმა შეიძლება მონიშნოს მაქსიმუმ 3 სხვადასხვა პროფესია; მას აქვს უფლება, პროფესიები სხვადასხვა დაწესებულებაში ჰქონდეს შერჩეული.

მესამე ნაბიჯი არის პროფესიის მოსინჯვა. საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებისა და სასურველი პროფესიების მონიშვნის შემდეგ, აპლიკანტები დათქმულ ვადაში განახორციელებენ ვიზიტს/ვიზიტებს მონიშნულ პროფესიულ სასწავლებლებში, სადაც მათთვის შემუშავებული იქნება მონიშნული პროფესიის პრაქტიკულად მოსინჯვის

პროცედურა. მოსინჯვის პროცესი არის წინასწარ დაგეგმილი, გათვალისწინებულია აპლიკანტის შეფასებაში აღწერილი საჭიროებები და ძლიერი მხარეები. მოსინჯვის პროცესს აკვირდებიან სპეციალისტები და მონაცემები შეყავთ სპეციალური დაკვირვების ფორმებში. პროცედურების დასრულების შემდეგ, თავად აპლიკანტის ჩართულობით, ხდება ერთობლივი შეჯერება – თუ რამდენიმე პროგრამა იყო მონიშნული, რომელმა უფრო მეტი ინტერესი გამოიწვია/რომელი უფრო გამოუვიდა აპლიკანტს. ერთი პროგრამის მონიშვნის შემთხვევაში, ხდება ჩაღრმავებული მსჯელობა და არჩევანის კიდევ ერთხელ გააზრება, შესაძლებლობის ფარგლებში. შიდა ჯგუფის გადაწყვეტილებები ყველა სასწავლებლიდან ეგზავნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საბოლოო ჩარიცხვის ბრანების გამოსაცემად.

უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიულ სასწავლებელში რეგისტრაციისთვის ერთადერთი პირობაა სკოლის ატესტატის ქონა – ზოგიერთ პროგრამაზე საკმარისია 9 კლასის ატესტატი, ზოგიერთ პროგრამას კი სჭირდება 12 კლასის ატესტატი. პროფესიულ განათლებაში ჩარიცხვისათვის არ არის შეზღუდული ასაკის ზედა ზღვარი, რაც სასწავლო პროცესს ხელმისაწვდომს ხდის მოზრდილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვისაც.

დამატებითი ვაუჩერული დაფინანსება თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის

პროფესიული განათლების დაფინანსების წესის შესაბამისად, თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი კვარტალში ერთხელ იღებს 1000 ლარის ოდენობის დანამატს სტანდარტულ ვაუჩერზე, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებას ერიცხება. დაფინანსება საშუალებას იძლევა ანაზღაურდეს თითოეული ინდივიდის შეფასებისას განსაზღვრული მხარდამჭერი ღონისძიებები, როგორიცაა: ჟესტური ენის თარჯიმანი; მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი; მეტყველების თერაპევტი; გადაადგილებასთან დაკავშირებული სირთულეების შემთხვევაში, ტრანსპორტირება; ინდივიდუალური ასისტენტი და სხვა. შესაძლებელია დამხმარე ტექნოლოგიური საშუალებების შეძენა. თუკი ვაუჩერის დანამატი არ არის საკმარისი საჭიროებების დასაფარად, პროფესიულ სასწავლებელს შეუძლია მიმართოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასაბუთებით და მოითხოვს დანამატის ის ოდენობა, რომელიც კონრეტული საჭიროების დაფინანსებისათვის არის საჭირო.

მხარდაჭერილი სწავლა-სწავლების პროცესი და მორგებული ფიზიკური გარემო

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის არსებითად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად დაგეგმვა, რაც პროფესიულ განათლებაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მეშვეობით ხორციელდება. თითქმის ყველა სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებელში მუშაობენ ინკლუზიური განათლების სპეციალისტები და ასისტენტები, რომლებიც პედაგოგებთან ერთად აკვირდებიან სტუდენტებს და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მეშვეობით ახდენენ სასწავლო პროცესის მათზე მორგებას. მნიშვნელოვანია, სტუდენტი და მშობელი ფლობდეს ინფორმაციას, რომ თუ ინდივიდი ვერ ახერხებს ადაპტირებას სასწავლო პროცესთან და ვერ ძლევს ყველა მოდულს, ეს არ აფერხებს მას, გადავიდეს სხვა მოდულებზე, თუმცა, სწავლის დასრულებისას მიიღებს სერტი-

ფიკატს ყველა მიღწეული შედეგის აღწერით. ის სტუდენტები, რომლებსაც პროცესის მცირე აკომოდაცია სჭირდებათ და გარკვეულ დონეზე მოდულის ყველა საფეხურს დაძლევენ, დუალური პროგრამების შემთხვევაში კი გადალახავენ საკვალიფიკაციო გამოცდას (აქაც მცირედი აკომოდაციის საფუძველზე) იღებენ პროფესიულ დიპლომს.

გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო პროფესიული სასწავლებლების უმრავლესობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის; მინიმუმ 6 მათგანში ფიზიკური გარემო ეფუძნება უნივერსალური დიზაინის პრინციპებს. გარკვეული მიმართულებებით არსებობს აუდიო სახელმძღვანელოები უსინათლო პირებისათვის.

საკითხები, რომლებიც შემდგომ დახვეწას საჭიროებს

პროფესიულ განათლებაში დანერგილი მხარდამჭერი მექანიზმები მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის, თუმცა, როგორც ნებისმიერ პროცესში, გარკვეული მიმართულებები დახვეწას საჭიროებს, კერძოდ:

- საჭიროა უფრო მრავალფეროვანი პროგრამების შეთავაზება
- ადრეული პროფესიული ორიენტაციის მექანიზმის დანერგვა
- სკოლიდან/სახლიდან/სერვისებიდან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხარდაჭერილი ტრანზიციის მექანიზმის დანერგვა
- პროფესიული სასწავლებლიდან დასაქმების ადგილზე ტრანზიციის მექანიზმის აწყობა, სხვადასხვა უწყებასთან თანამშრომლობით
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მოქნილობის გაზრდა
- მასწავლებლებისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება
- ახალი, ინდივიდზე მორგებული სერვისების განვითარება, კერძო სექტორის აქტიური მონაწილეობით.

შეჯამება

საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში დანერგილი ინკლუზიურობის პრინციპი საშუალებას იძლევა, განსხვავებული საჭიროების მქონე ადამიანები დაეუფლონ მათთვის საინტერესო პროფესიებს, შეიძინონ ღია შრომის ბაზარზე რეალიზებისათვის საჭირო უნარები და გაუჩნდეთ დასაქმების შესაძლებლობა. სასწავლებლებში არსებული ფიზიკური და სასწავლო გარემო მორგებულია სტუდენტების საჭიროებებზე. მიუხედავად ამისა, სისტემაში ჯერ კიდევ რჩება განვითარების საჭიროება, რათა სწავლა-სწავლების პროცესი უფრო დაიხვეწოს და მხარდამჭერი სერვისები უფრო მეტად ინდივიდზე ფოკუსირებული გახდეს.

უმნიშვნელოვანესია, მეტი ადამიანი ფლობდეს ინფორმაციას აღნიშნული შესაძლებლობების შესახებ, რათა მოახდინონ საკუთარი ინტერესების შესაბამისი პროგრამების შერჩევა და თვითრეალიზება.

პროფესიული პროგრამებისა და რეგისტრაციისათვის სასარგებლო ბმული: https://vet.emis.ge/#/

პროფესიული განათლების სისტემისა და სერვისების შესახებ საჭირო ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://vet.ge/ge

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანდრიაძე.ნ, ჯღარკავა.ე, ბაბუნაშვილი.ე, ზუბიტაშვილი.ნ, ზაქარეიშვილი.მ, კუმარი.ს, მურცხველაძე.შ (2023) *ანტრეპრენერობა.*
2. Kitiashvili. A, Tserodze.I, Zakareishvili. M. *Torino Process 2018-2022 Georgia. National Report*. European Training Foundation.
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N42/ნ ბრძანება(2.07.2021) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ.
4. საქართველოს მთავრობის დადგენილება N244 (19.09.2013) პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე.
5. საქართველოს მთავრობის დადგენილება N416 (09.08.2022) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ.

თეონა მევაშველიშვილი
კლინიკური ნეიროფსიქოლოგი

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის

პროფესიების პრაქტიკაში მოსინჯვა

საქართველოს განათლების სისტემა უმეტესწილად ასახავს საერთაშორისო ტენდენციებს და აღნიშნული მოდელი ეყრდნობა სხვა ქვეყნების გამოცდილებასა და ადგილობრივი საჭიროებებისა და რესურსების გაანალიზების შედეგებს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის პროფესიების პრაქტიკაში მოსინჯვა წარმოადგენს პროფესიული ორიენტაციის პროცესის წამყვან კომპონენტს, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს, რა დამოკიდებულება ჩამოუყალიბდება აპლიკანტს კონკრეტული საქმიანობის მიმართ. თავად პროფესიული ორიენტაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აქტივობაა ადამიანის ცხოვრების ახალ ეტაპზე ტრანზიციისას; მისი ძირითადი მიზანია – დაეხმაროს ინდივიდს, აირჩიოს ან შეიცვალოს პროფესია მისი ინტერესების, შესაძლებლობების, შრომითი ბაზრის მოთხოვნების, განვითარების პერსპექტივებისა და სხვა რელევანტური ფაქტორების გათვალისწინებით. აღნიშნული პროცედურის გავლა საშუალებას აძლევს შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს, მიიღოს მისთვის აუცილებელი ინფორმაცია პროფესიებთან დაკავშირებით, მოსინჯოს და საკუთარ თავზე გამოსცადოს პროფესიასთან დაკავშირებული სხვადასხვა აქტივობა, მოინახულოს პროფესიის შესაბამისი დასაქმების ადგილები, რაც ხელს უწყობს მას, როგორც აპლიკანტს, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, დამოუკიდებლად მიიღოს გაცნობიერებული საბოლოო გადაწყვეტილება სასურველი პროფესიული პროგრამების თაობაზე.

პროფესიული განათლების სისტემაში აპლიკანტთა პროფესიულ ორიენტაციას, როგორც წესი, ახორციელებენ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტები. ხოლო, როდესაც აპლიკანტი არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი, პროცესში დამატებით ერთვება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს განათლების სისტემა უმეტესწილად ასახავს საერთაშორისო ტენდენციებს და აღნიშნული მოდელი ეყრდნობა სხვა ქვეყნების გამოცდილებასა და ადგილობრივი საჭიროებებისა და რესურსების გაანალიზების შედეგებს.

პროფესიული ორიენტაციის პროცესში განსაკუთრებით საყურადღებოა სპეციალისტების შეთანხმებული და კოორდინირებული მუშაობა, სადაც თითოეულ მათგანს გაცნობიერებული აქვს საკუთარი როლი და მნიშვნელობა. პროფორიენტაცია არის ცოცხალი პროცესი, რომელიც ყოველ ჯერზე შეიძლება მოიცავდეს ახალ, დამატებით კომპონენტს, რათა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აპლიკანტმა შეიქმნას სრულყოფილი/თვალსაჩინო წარმოდგენა კონკრეტულ პროფესიებთან და საკუთარ შესაძლებლობებთან, მიდრეკილებებთან, უნარ-ჩვევებთან დაკავშირებით. ამისთვის კი აუცილებელია, ყველა ჩართული სპეციალისტის მხრიდან მოხდეს პროცესის ეფექტურად წარმართვის წახალისება და საბოლოო შედეგებზე პასუხისმგებლობის აღება.

სსსმ და შშმ პირებისთვის პროფესიების პრაქტიკაში მოსინჯვა წარმოადგენს პროფესიული ორიენტაციის გეგმის განხორციელების ნაწილს. კონკრეტული პროფესიების შერჩევასა და მათი პრაქტიკაში მოსინჯვის პროცესს წინ უძღვის აპლიკანტის მიერ დაწესებულებისთვის პროფესიული ორიენტაციის მიზნით მიმართვა, ხოლო შემდეგ გაცნობითი და საორიენტაციო შეხვედრები. სწორედ ამ შეხვედრების ფარგლებში ხდება აპლიკანტის ახალ გარემოში ადაპტირების ხელშეწყობა, მისი საჭიროებებისა და შესაძლებლობების სიღრმისეული კვლევა შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით, აპლიკანტის პროფესიული ინტერესების გამოვლენა.

აპლიკანტის მიერ შერჩეული პროფესიული პროგრამების მოსინჯვა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც თანმიმდევრულად, ისე პარალელური ფორმატით; აუცილებელია, რომ ამ დროს მოხდეს საათობრივი გადანაწილების პროპორციების დაცვა ისე, რომ აპლიკანტს ჰქონდეს შესაძლებლობა, თანაბრად გაეცნოს შერჩეულ პროფესიებსა და მათთვის დამახასიათებელ აქტივობებს. პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში, აპლიკანტი თითოეულ პროფესიასთან მიმართებით უნდა დაესწროს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ პროცესს (არანაკლებ 10 საათისა). აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი შესაძლოა განხორციელდეს როგორც მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამებზე დასწრებით, ასევე უშუალოდ აპლიკანტისათვის დაგეგმილი საჩვენებელი შეხვედრების ორგანიზებით (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ შერჩეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროფორიენტაციის პერიოდში, არ მიმდინარეობს აქტიური სასწავლო პროცესი და სხვა).

თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის მოსინჯვის შემდგომ მნიშვნელოვანია აპლიკანტის მიერ მოხდეს:

- პროფესიასთან მიმართებით საკუთარი ძლიერი მხარეებისა და გამოწვევების გაცნობიერება
- ინტერესების, უნარებისა და ღირებულებების იდენტიფიცირება
- საუბარი და რეფლექსია თითოეულ მოსინჯულ პროფესიასთან მიმართებით
- სხვადასხვა ალტერნატივების გათვალისწინებით, დასაბუთებული არჩევანის გაკეთება.

ამ ეტაპზე, რეფლექსიის სტიმულაციის დროს, აუცილებელია პროფორიენტაციის პროცესში გადაღებული ფოტოებისა და სხვადასხვა პროფესიასთან მიმართებით განხორციელებული აქტივობების მიმდინარეობისას შეგროვებული მასალების გამოყენება, რაც აპლიკანტს დაეხმარება რეფლექსიის მოხდენაში, გაახსენებს კონკრეტულ პროცესს და მისცემს გამოცდილებების შედარების შესაძლებლობას.

პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში დაგეგმილი ყველა აქტივობა უნდა იძლეოდეს პროფესიის შემადგენელი ძირითადი ამოცანებისა და მოვალეობების გაცნობის შესაძლებლობას; ამ დროს აპლიკანტს ეძლევა საშუალება, ერთი მხრივ, გამოსცადოს პროფესიულ აქტივობათა ციკლი, ხოლო, მეორე მხრივ, ტიპური სამუშაო რუტინა; გაეცნოს დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობებსა და სამუშაო გარემოს; გამოიყენოს სპეციფიკური მასალა/ნედლეული, ინსტრუმენტები, აღჭურვილობა და დანადგარები, პროფესიით განსაზღვრული პროდუქტებისა და შედეგების მიღების მიზნით. ამ ეტაპზე ძირითად ამოცანას წარმოადგენს მონაწილის არსებული გამოცდილების გამდიდრება კონკრეტულ პროფესიაზე (რაც გაუგია, წაუკითხავს, წარმოუდგენია და ა.შ.) და მისთვის პროფესიის სურათის თანმიმდევრული ჩვენება.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ პროფესიის მოსინჯვის პროცესზე დაკვირვებისთვის, ინკლუზიური განათლების სპეციალისტმა უნდა გამოიყენოს ინფორმაციის დოკუმენტირების შესაბამისი ფორმა. ამჟამად, პროცესის დახვეწისა და აპლიკანტის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ალბათობის გაზრდის მიზნით, მიმდინარეობს თითოეული პროფესიული მიმართულებისთვის შესაბამისი დაკვირვების ფორმის შემუშავება, რომელიც დაეყრდნობა კონკრეტული პროფესიებისთვის საჭირო უნარებსა და შესაძლებლობებს. დაკვირვების შედეგების ამსახველი ანკეტა საშუალებას იძლევა, მოხდეს აპლიკანტის მუშაობასთან და სწავლასთან დაკავშირებული უნარების დოკუმენტური ასახვა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს ფორმა ივსება არა მხოლოდ ცალკეულ აქტივობაზე დაკვირვების მიხედვით, არამედ ერთ პროფესიასთან მიმართებით განხორციელებული ყველა აქტივობის, აპლიკანტის უკუკავშირისა და პროცესთან დაკავშირებული სხვა რელევანტური ინფორმაციის შეჯამებით. შესაბამისად, ეს ანკეტა წარმოადგენს სამუშაო დოკუმენტს, რომელიც თითოეული პროფესიის მოსინჯვის განმავლობაში ეტაპობრივად ივსება.

პროფესიული ორიენტაციის პროცესში პროფესიების პრაქტიკაში მოსინჯვის მიზნით, აპლიკანტისთვის აქტივობების შერჩევა შესაძლებელია მოხდეს სფეროს ექსპერტების მიერ შემუშავებული პროფესიული ანალიზის დოკუმენტიდან, კერძოდ, მისი ერთ-ერთი სექციიდან — ძირითადი პროფესიული აქტივობები და დავალებები. შესასრულებელი აქტივობების შერჩევაში და მათ ადაპტაციაში მონაწილეობას უნდა იღებდეს პროფესიის მასწავლებელი, რომელიც აქტიურად უხელმძღვანელებს აპლიკანტის მიერ აქტივობების შესრულებას, გაუწევს ფასილიტაციას, მხარდაჭერას და, იმავდროულად, პროფესიული ორიენტაციისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებთან ერთად, თვალს მიადევნებს, თუ რამდენად ავლენს აპლიკანტი პროფესიის ანალიზის დოკუმენტის სექციაში — პროფესიული აქტივობებისთვის საჭირო მოთხოვნები (უნარები და შესაძლებლობები) — განსაზღვრულ უნარებს; თუმცა ეს პარალელი არ უნდა გახდეს შემდგომში გადაწყვეტილების მიღების ერთადერთი საფუძველი, რადგან ეს არის კიდევ ერთი დამატებითი ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას აძლევს აპლიკანტს, საკუთარ თავზე გამოსცადოს კონკრეტული პროფესიის მოთხოვნები, მასთან მიმართებით განსაზღვროს საკუთარი შესაძლებლობები და მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება.

პროფესიების პრაქტიკაში მოსინჯვის პროცესში მიღებული გამოცდილების საფუძველზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აპლიკანტი შეძლებს განსაზღვროს, რამდენად ხედავს საკუთარ თავს ამ პროფესიაში, რა მოსწონს, რა უჭირს, რა აინტერესებს, რა ბეზრდება, რა ხიბლავს, რა აშფოთებს და სხვა.

პროფესიული ორიენტაციის პროცედურის დასრულების შემდეგ ხდება აპლიკანტის მიერ შერჩეული პროფესიის მოთხოვნებისა და პროფესიული ორიენტაციის გუნდის რეკომენდაციის განხილვა აპლიკანტის სასწავლო პროცესში ეფექტური ჩართვისა და საჭირო რესურსების განსაზღვრის მიზნით.

მამოწმებული ლიტერატურა:

1. ინკლუზიური პროფესიული განათლების გზამკვლევი (2018); ნინო რუხაძე, მაია ბაგრატიონ-გრუზინსკი. http://inclusion.ge/res/docs/2017031014280188168.pdf
2. ინკლუზიური განათლების მოდელი სამუშაოზე დაფუძნებულ (დუალურ) პროფესიულ განათლებაში (2018); ნინო რუხაძე, რუსუდან ლორთქიფანიძე. საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრო.
3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების პროფესიული ორიენტაცია (2020); თეონა გავაშელიშვილი. http://inclusion.ge/res/docs/2021021814144122327.pdf
4. აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირთა პროფესიული განათლების სისტემაში ტრანზიცია (2021); მაია ბაგრატიონ-გრუზინსკი, მარიკა ზაქარეიშვილი. http://inclusion.ge/res/docs/2022031015355081607.pdf
5. A Guide to Developing Collaborative School-Community-Business Partnerships (2015). Luecking, Deschamps, Allison, Hyatt, and Stuart. http://transitionta.org/download/PostsecondaryEducation/SCB%20Partnerships%20Guide.FINAL%201.pdf
6. Recruiting, Hiring, Retaining, and Promoting PEOPLE WITH DISABILITIES (2015), https://www.eeoc.gov/sites/default/files/migrated_files/eeoc/interagency/employing_people_with_disabilities_toolkit_february_3_2015_v4-2.pdf
5. Professional Orientation Training Material, HELVETAS Swiss Intercooperation https://www.helvetas.org/Publications-PDFs/Switzerland/Switzerland-Professional-Orientation-Manual-YOU-2019-en.PDF

მშობლის როლი ბავშვის განვითარებაში

ნატა მეფარიშვილი
კლინიკური ფსიქოლოგი, პროფესორი

მშობლის უპირველესი და მთავარი როლი შვილის ცხოვრებაში მისდამი ზრუნვაში გამოიხატება. დაბადების პირველი დღიდან ბავშვს გვერდით სჭირდება მოსიყვარულე და მზრუნველი ადამიანი, რომლის იმედი და ნდობაც ექნება. პატარა სწორედ საიმედო ადამიანის გვერდით სწავლობს, რომ სამყარო, რომელშიც დაიბადა, უსაფრთხოა – ეს კი მას სიმშვიდის განცდას ანიჭებს. დაცულობისა და სანდოობის შეგრძნება ადამიანისთვის მნიშვნელოვანია ცხოვრების ყოველ ეტაპზე; მშობლის მხრიდან ზრუნვისა და ერთგულების გრძნობა აუცილებელია არა მხოლოდ ადრეულ ასაკში, არამედ მთელი ბავშვობისა და მოზარდობის განმავლობაში. მშობლის ემოციური მხარდაჭერა, გარკვეული დოზით, ყოველთვის გვჭირდება.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს – როდესაც მშობელს ვახსენებთ, უნდა მოვიაზროთ ის ადამიანი ან ადამიანები, რომლებიც ბავშვის აღზრდაში უმთავრეს როლს ასრულებენ. ქართულ კულტურაში, განვითარების კონკრეტულ ან სხვადასხვა ეტაპზე, მშობლის როლში, დედისა და მამის გარდა, ოჯახის სხვა წარმომადგენლებიც შეიძლება მოიაზრებოდნენ (ბებია, ბაბუა, ოჯახის სხვა უფროსი წევრები, ასევე, კანონიერი მეურვე). როდესაც ბავშვის აღზრდაში ოჯახის რამდენიმე უფროსი წევრი მონაწილეობს, მნიშვნელოვანია, რომ მათ ერთიანი და შეთანხმებული ხედვა ჰქონდეთ აღზრდასთან დაკავშირებულ თითოეულ საკითხთან მიმართებაში.

მნიშვნელოვანია მოსმენის კომპონენტი – შვილს უნდა მოვუსმინოთ კრიტიკისა და საყვედურის მარეშე, იდეალური მშობლები არ არსებობენ, მაგრამ საჭიროა მეტად ვუსმინოთ შვილებს და არ დავსაჯოთ ან გავკიცხოთ იმის გამო, რომ ჩვენგან განსხვავებული ფიქრი ან მოსაზრება აქვთ.

თავის მხრივ, ზრუნვა ბავშვის განვითარებისა და შესაბამისად, მშობლობის სხვადასხვა ეტაპზე, განსხვავებულ აქტივობებს გულისხმობს, მაგალითად – ადრეულ ასაკში ბავშვის მიმართ ყურადღების გამოჩენა; მასთან თამაში ან ჩახუტება; მის ჰიგიენასა თუ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე ზრუნვა. ბავშვი მუდმივად იძენს ახალ უნარებს და შეიმეცნებს გარემოს და როდესაც რამე ახალს სწავლობს, სწორედ მაშინ საჭიროებს დახმარების ხელს; სწორედ ახალი უნარების ათვისების პროცესში უვითარდება თვითშეფასება, რაც მნიშვ-

ნელოვნად განსაზღვრავს მის ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას; ხოლო ის, თუ როგორ ვიღებთ მონაწილეობას ამ მუდმივი შემეცნების პროცესში და როგორ ვასწავლით ჩვენს პატარას, განსაზღვრავს ჩვენი მშობლობის მახასიათებლებს.

კარგი მშობლობის დასახასიათებლად და ასაღწერად ხშირად ვხვდებით ტერმინს „პოზიტიური მშობლობა“. რას მოიაზრებს პოზიტიური მშობლობა?

პოზიტიური მშობლობა, ანუ კარგი მშობლობა, არის მშობლის ქცევათა ისეთი ერთობლიობა, რომელიც შვილის მიმართ უპირობო სიყვარულს, მზრუნველობას, პატივისცემას, მიმღებლობას, სითბოსა და სიყვარულს გამოხატავს. ხშირად ტერმინის „პოზიტიური მშობლობა“ არასწორი ინტერპრეტაცია ხდება და ადამიანებს ჰგონიათ, რომ საქმე ეხება ბავშვის აღზრდის ზედმეტად ლიბერალურ სტილს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. აღზრდა, სადაც კონკრეტული წესები არ არსებობს და პატარას ყველაფრის უფლება აქვს, კარგ შედეგებამდე ვერ მიგვიყვანს.

პოზიტიური აღზრდა, ეს არის სითბოსა და პოზიტიურ ოჯახურ ურთიერთობებზე დამყარებული კონტინიუმი, რომელიც ეხმარება ბავშვს სწორი ახსნით, მაგალითის ჩვენებითა და წახალისებით განივითაროს საუკეთესო პიროვნული შესაძლებლობები. იმავდროულად, პოზიტიურ აღზრდას ახასიათებს გონივრული შეზღუდვები და ნათლად ჩამოყალიბებული წესების არსებობა. სწორედ ეს ბალანსი მხარდაჭერასა და მოზომილ წესებს შორის, არის მნიშვნელოვანი და ხშირად მშობლებს ამ პროცესში სჭირდებათ მხარდაჭერა.

რა არ შეესაბამება პოზიტიური მშობლობის იდეას?

პირველ რიგში, მიუღებელია ბავშვის უფლებების დარღვევა, პოზიტიური აღზრდა გამორიცხავს ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას ბავშვზე. მშობლები ხშირად ხსნიან მსგავს ქმედებებს გაბრაზებით; ბრაზი ძლიერი ემოციაა, მაგრამ მშობლებმა აუცილებლად უნდა ისწავლონ საკუთარი ემოციების მართვა და თუ ამას დამოუკიდებლად ვერ ახერხებენ, მიმართონ სპეციალისტს.

რა მახასიათებლები აქვს პოზიტიურ მშობლობას?

როდესაც პოზიტიურ მშობლობას ვახსენებთ, ვგულისხმობთ, რომ უნდა ვიყოთ წახალისებასა და შექებაზე ორიენტირებულები. როდესაც ბავშვი ცდილობს დახატოს, მოამზადოს გაკვეთილები, ლამაზად დაწეროს, დაეხმაროს ოჯახის წევრებს, თქვას სიმართლე, დაალაგოს საკუთარი ნივთები, აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება ამ ფაქტებს და წავახალისოთ შექებითა თუ სხვა ფორმით.

პოზიტიური და შექებაზე ორიენტირებული მიდგომა ადამიანს შეიძლება მშობლად გახდომამდეც ახასიათებდეს, თუმცა მშობლობა დიდი პასუხისმგებლობა და, შეიძლება ითქვას, პროფესიაცაა. მშობლობისთვის საჭიროა მომზადება; მნიშვნელოვანია წინასწარ წავიკითხოთ ლიტერატურა, მოვისმინოთ ინფორმაცია სფეროს სპეციალისტისგან და მშობლად გახდომის შემდეგაც მუდმივად ვიყოთ მიმართულები ზრდასა და განვითარებაზე.

წახალისებაზე ორიენტირების გარდა, მნიშვნელოვანია მოსმენის კომპონენტი – შვილს უნდა მოვუსმინოთ კრიტიკისა და საყვედურის გარეშე, იდეალური მშობლები არ არსებობენ, მაგრამ საჭიროა მეტად ვუსმინოთ შვილებს და არ დავსაჯოთ ან გავკიცხოთ იმის გამო, რომ ჩვენგან განსხვავებული ფიქრი ან მოსაზრება აქვთ.

გარდატეხის ასაკში მოზარდებს განსაკუთრებით ახასიათებთ საკუთარი აზრების წინ წამოწევა და რადიკალური ფორმებით დაფიქსირება; ისინი ხდებიან ოპოზიციურები, რადგან თვლიან, რომ მათ განსხვავებულ მოსაზრებებს უფროსები არ იღებენ. თუ მშობლები ბავშვებს დესტრუქციული კრიტიკის

გარეშე მოვუსმენთ, ვაგრძნობინებთ, რომ გვესმის მათი და მეტად ვიქნებით ემპათიურები მათ მიმართ, დიდია ალბათობა, რომ გარდატეხის რთულ პერიოდში უფრო დაცულები ვიქნებით გართულებებისგან. თუ შვილს მუდმივად ვაკრიტიკებთ, ბოლომდე არ ვუსმენთ, მან შეიძლება გადაწყვიტოს, რომ მსმენელი არ ჰყავს და აღარ გაგვიზიაროს თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტები. გარდატეხის ასაკის ადამიანი, რიგი ფაქტორების გამო, ყოველთვის მოწესრიგებულად, უსაფრთხოდ, სოციალური ნორმების სრული დაცვით ვერ ახერხებს მოქცევას. ეს ერთგავარად ნორმალურია და დამახასიათებელია განვითარების ამ ეტაპისთვის. სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი, მშობელმა გააანალიზოს საკუთარი მშობლობის სტილი; დააკვირდეს საკუთარ ქცევას; გაიაზროს, ყველაფერზე ხომ არ აძლევს შვილს შენიშვნას? დაფიქრდეს, შეუძლია თუ არა მისი მოსმენა?

მთავარია, მშობელი იყოს მსმენელი, მხარდამჭერი და შვილი კრიტიკის ქარცეცხლში არ გახვიოს მაშინ, როდესაც ის რამეს უზიარებს. ეს ნამდვილად არ გულისხმობს შვილის ნებისმიერი მოსაზრების აბსოლუტურად უკრიტიკო გაზიარებას ან უპირობო მოწონებას. პირიქით, გულისხმობს იმას, რომ მშობელი უხსნის – რაში არ ეთანხმება და რატომ არ ეთანხმება მას. ახსნა ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია; სანამ მშობელი გადაწყვეტილებას მიიღებს, აუცილებელია, დრო გამოყოს შვილისთვის საკითხის ასახსნელად, ერთობლივად გასაანალიზებლად.

სპეციალისტები ხშირად ვურჩევთ მშობლებს, ყოველდღიურად დაგეგმონ შვილებთან კომუნიკაცია, რაც გულისხმობს მშობლის გააქტიურებას ბუნებრივ ყოფით სიტუაციაში, ყოველდღიურად შვილთან საუბარს... ეს შეიძლება იყოს, იმის გაჟღერება, რომ ყველა უშვებს შეცდომას; გახსენება, თუ რა შეცდომები მოსვლია თავად მოზარდობისას ან მერე და რა ისწავლა ამ შეცდომებიდან. რაც მთავარია, ბავშვმა აუცილებლად უნდა იცოდეს, რომ ძალიან უყვარს მშობელს, მიუხედავად იმისა თუ რა ჩაიდინა და რომ ეს არასდროს შეიცვლება.

შეცდომების შესახებ დიალოგის გარდა, აღზრდის პროცესში იდეალური შესაძლებლობაა მაგალითის ჩვენება – თუ შვილს ეუბნებით, რომ ტყუილი არ არის კარგი, შესაბამისად, ვალდებული ხართ, თვითონაც არ მოატყუოთ. თუ გსურთ, ინტენსიური ემოციები ბავშვმა მისაღები ფორმით გამოხატოს, აჩვენეთ თქვენს შვილს, თვითონ როგორ უმკლავდებით ბრაზს, როგორ მართავთ და გადაჭრით პრობლემურ, ემოციურად რთულ სიტუაციებს.

ჩამოთვლილი სტრატეგიების გამოყენებას მშობლის მხრიდან თანმიმდევრულობა, მოთმინება და დროის დათმობა სჭირდება. თუმცა მშობლებს უნდა ახსოვდეთ, რომ შვილისთვის გამოყოფილი მცირე დროც კი, ყოველთვის მნიშვნელოვანია და თავის შედეგს აჩვენებს. თუ ვერ აკეთებთ „მაქსიმუმს“ პოზიტიური მშობლობისთვის, შეგიძლიათ გააკეთოთ საუკეთესო „მინიმუმი“ და ბავშვი აუცილებლად დააფასებს თქვენს ძალისხმევას. ის დაინახავს, რომ, შესაძლოა, ძალიან დაკავებული ხართ, მაგრამ მაინც ცდილობთ შვილთან ეფექტურ კომუნიკაციას.

როგორაა მშობლობა დაკავშირებული ბავშვის სასკოლო ცხოვრებასთან?

მცირე ასაკის ბავშვის განვითარებაში წამყვანია სოციალური და ემოციური სფეროს უნარების განვითარება და არა მხოლოდ საგნების სწავლება; შესაბამისად, სკოლის ფუნქციაა ბავშვებს შორის პოზიტიური, ჯანსაღი ურთიერთობების ხელშეწყობა. სკოლა უნდა იყოს სივრცე, სადაც ბავშვები სიხარულით წავლენ და ექნებათ მოტივაცია, განვითარონ საკუთარი შესაძლებლობები და უნარები.

ადამიანი, განსაკუთრებით ბავშვი, მიდრეკილია შემეცნებისკენ და მისთვის სწავლა შინაგანი მოტივაციის ნაწილია. სკოლაში და ოჯახში არსებულმა სააღმზრდელო მიდგომებმა, ერთობლივი ძალისხმევით, ბავშვს სწორედ სწავლისადმი მოტივაცია უნდა აუმაღლოს და შეუნარჩუნოს.

სკოლაში შესვლისას ბავშვი სრულიად ახალი გამოცდილების მიღებას იწყებს, რაც განსხვავდება ადრეულ ასაკში სააღმზრდელო დაწესებულებაში/ბაღში მიღებული გამოცდილებისგან. სკოლაში ბავშვისთვის მნიშვნელოვნად იცვლება ფიზიკური და ემოციური გარემო, შემოდის აკადემიური შრომისა და შეფასების კომპონენტები, თამაშიდან ბავშვი გადადის აკადემიურ აქტივობებზე. მშობელი ღელავს – ერთი მხრივ, ცოდნას როგორ მიიღებს მისი შვილი, მეორე მხრივ კი, რამდენად დაკმაყოფილებული იქნება მისი ფიზიკური და ემოციური საჭიროებები. მშობლები ხშირად ინტერესდებიან იმით, თუ როგორი ადამიანები და გარემო დახვდებათ სკოლაში მათ შვილებს. მშობლებს შეუძლიათ, დამხმარე რესურსად და ინფორმაციის გაცვლისთვის გამოიყენონ სხვა მშობლები, ამასთანავე, აუცილებელია სკოლის მასწავლებლებთან აქტიური და თანამშრომლობითი ურთიერთობა.

სასკოლო ცხოვრებაში ბავშვის წარმატებული ჩართულობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია მშობლის ღია კომუნიკაცია მასწავლებლებთან. ორივე მხარეს, სკოლასაც და ოჯახსაც, კარგად უნდა ესმოდეს ამგვარი ღია კომუნიკაციის საჭიროება. აუცილებელია, სრულფასოვნად შევისწავლოთ ბავშვის შესაძლებლობები, მისი უნარები, ინდივიდუალური თავისებურებები და საჭიროებები. კვლევებით დადასტურებულია, რომ ოჯახსა და სკოლას შორის გახსნილი, თანამშრომლობითი ურთიერთობა ერთგვარი პრევენციული სტრატეგია და გარანტიაა იმისა, რომ მოზრდილობაში მინიმუმამდე იქნება დაყვანილი მოზარდთა მენტალური პრობლემები.

შეჯამებისთვის, ბავშვის აღმზრდელობით და სასწავლო პროცესში ჩართულ პირებს უნდა აერთიანებდეთ პოზიტიური აღმზრდელობითი ღირებულებები, როგორიცაა: ბავშვისა თუ მოზარდის მოსმენა მისი გაკიცხვისა და დასჯის გარეშე; დიალოგისა და მაგალითის ჩვენებით, მასთან მუდმივი, თანმიმდევრული კომუნიკაცია; ბავშვებისა და მოზარდების წახალისებაზე ორიენტირებული, განმავითარებელი გარემოს შექმნა.

„საქართველოს კარიტასის“ ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი პროექტი

მიორგი დემეტრაშვილი
ფსიქოლოგი, „საქართველოს კარიტასის“ ინკლუზიური განათლების პროგრამის მენეჯერი

საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“ საქართველოში 1994 წელს დაფუძნდა და დღემდე აქტიურად მუშაობს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების, ჰუმანიტარული, სოციალური, ჯანმრთელობისა და განვითარების სფეროში. „საქართველოს კარიტასი“ დაარსების დღიდან ემსახურება საქართველოს მოწყვლად მოსახლეობას და მიზნად ისახავს ადამიანური განვითარებისა და სოციალური სამართლიანობის ხელშეწყობას, ბენეფიციართა საჭიროებებზე დაფუძნებული სერვისების შეთავაზებით.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში განხორციელებულმა ძირეულმა ცვლილებებმა, როგორიცაა დეინსტიტუციონალიზაცია, განათლების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს ცვლილება, მნიშვნელოვნად შეცვალა სკოლის სტრუქტურა და დამოკიდებულება მოსწავლეების მიმართ. საკმაოდ ჩაკეტილი სისტემა გახდა უფრო გახსნილი და დღესდღეობით უზრუნველყოფს სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეების მხარდაჭერას.

აღნიშნულ პროცესებში „საქართველოს კარიტასი“ აქტიურ მონაწილეობას იღებდა, განსაკუთრებით კი ბავშვების ძალადობისგან, დისკრიმინაციისა და უარყოფისგან დაცვის მიმართულებით. განვითარდა მცირე საოჯახო ტიპის სერვისები და ბენეფიციარებს მიეცათ საშუალება, განათლება თანატოლებთან ერთად მიიღონ სკოლის სივრცეში. აღნიშნული ბენეფიციარების ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროცესში გამოვლინდა გამოწვევებიც, მაგალითად, სასწავლო პროცესში სრულყოფილი ჩართვა და თანაკლასელებთან სოციალიზაცია, რაც წარმოადგენდა ღირებულ მოტივს, რათა „საქართველოს კარიტასს“ მუშაობის ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოეყო ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა.

„საქართველოს კარიტასმა“ ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი პროექტის განხორციელება დაიწყო 2018 წლიდან და თანამშრომლობს 8 სკოლასა და 2 საბავშვო ბაღთან. პროექტი ორიენტირებულია რამდენიმე ძირითად მიმართულებაზე:

- ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტებისა და ადმინისტრაციის პროფესიული მხარდაჭერა და გაძლიერება
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობელთა გაძლიერება და მათი ჩართულობის გაზრდა შვილების საგანმანათლებლო პროცესში
- თანატოლგანმანათლებლობის, როგორც ეფექტური საინფორმაციო/საგანმანათლებლო მოდელის, დანერგვა სკოლის სივრცეში.

ეს პრიორიტეტული მიმართულებები მიზნად ისახავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლებისა და სოციალიზაციის ხარისხის გაუმჯობესებას, მათთან მომუშავე სპეციალისტების, თანატოლებისა და მშობლების გაძლიერებით.

ინკლუზიური განათლების პრაქტიკის ეფექტური დანერგვის პროცესში მასწავლებლებსა და სხვა ჩართულ სპეციალისტებს უწევთ სხვადასხვა გამოწვევასთან გამკლავება. „საქართველოს კარიტასის“ ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი პროექტის მუშაობის სპეციფიკა გულისხმობს სპეციალისტების პროფესიულ მხარდაჭერასა და გაძლიერებას სწორედ ამ გამოწვევებთან გამკლავების პროცესში.

პარტნიორ სკოლებთან თანამშრომლობა რამდენიმე კომპონენტისგან შედგება – ინდივიდუალური შემთხვევების კონსულტირება (სასწავლო პროცესზე დაკვირვების განხორციელება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება), კლასის მართვა და ორგანიზება, მოსწავლის ინდივიდუალური მხარდაჭერის სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში მონაწილეობა, მწვავე ქცევითი სირთულით გამოწვეული კრიზისული სიტუაციის მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავება/განხორციელება.

ინდივიდუალური შემთხვევების კონსულტირებისას გამოიკვეთა სკოლების მხარდაჭერის საჭიროება მწვავე ქცევითი სირთულით გამოწვეული კრიზისული სიტუაციის მართვის პროცესში; შესაბამისად, აღნიშნული მიმართულება ამჟამად პროექტისთვის პრიორიტეტულია. კრიზისული სიტუაციის მართვის პროტოკოლები წარმოადგენს განვითარებული ქვეყნების სკოლების განუყოფელ ნაწილს, რადგან ყოველთვის არსებობს მოსწავლის ქცევის ესკალაციის რისკი, რომელიც მოითხოვს მაღალკვალიფიციურ და სპეციფიკურ ინტერვენციას.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა მწვავე ქცევითი სირთულეების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების სერვისების მოკვლევა. კვლევის შედეგებმა ცხადყო მხარდამჭერი სერვისების სიმწირე, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებული ინფორმაციის დეფიციტი, ორგანიზაციული სამოქმედო გეგმების არარსებობა, კომპეტენციის ნაკლებობა. ეს ყოველივე კი იქცა მოტივად, რომ შექმნილიყო მწვავე ქცევითი სირთულით გამოწვეული კრიზისული სიტუაციის მართვის გზამკვლევი.

გზამკვლევის მიხედვით, კრიზისული სიტუაცია წარმოიქმნება მოსწავლის იმ ქცევის გამწვავების შედეგად, რომელიც მიმართულია საკუთარი თავის, სხვების ან გარემოს დაზიანებაზე და ამ შემთხვევით გამოწვეული შედეგების არიდება ან შემცირება მოითხოვს დაუყოვნებლივ ფიზიკურ ჩარევას.

ზემოხსენებული სახელმძღვანელოს მიზანია, საგანმანათლებლო დაწესებულებებს მისცეს მიმართულება თანამშრომლებისა და მოსწავლეებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნასა და მწვავე ქცევით სირთულესთან დაკავშირებული კრიზისული სიტუაციის მართვაში. შესაბამისად გამოკვეთილია 4 ამოცანა:

- მოსწავლის ქცევის გამწვავების იდენტიფიცირება და კრიზისული სიტუაციის პრევენცია
- კრიზისული სიტუაციის განმუხტვა ზიანის მინიმალური გამოსავლით;
- ფიზიკური შეკავების ფორმების შესაბამისი გამოყენება;
- მოსწავლეებისა და თანამშრომლების ძალადობისგან დაცვა კრიზისული სიტუაციის დროს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „საქართველოს კარიტასის“ პროექტი სპეციალისტებს სთავაზობს ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებს, სადაც მუდმივად ხდება ცოდნის განახლება და მისი პრაქტიკაში დანერგვის საშუალებების განსაზღვრა.

„საქართველოს კარიტასსა“ და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, გადამზადდნენ ცენტრის ტრენერები.

ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ასპექტს მშობლებთან თანამშრომლობა წარმოადგენს. პროექტის ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობს პარტნიორი სკოლების სსსმ მოსწავლეების მშობელთა საჭიროებების მოკვლევა; სპეციალისტების მიერ ტარდება თემატური საინფორმაციო შეხვედრები.

აღსანიშნავია, რომ სკოლაში ინდივიდუალური შემთხვევების კონსულტირება გულისხმობს მშობელთა აქტიურ ჩართულობას მიმდინარე პროცესში, რაც საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ გარკვეული უნარები და ცოდნა, რომელიც დაეხმარებათ სახლში გამოვლენილ ქცევით სირთულეებთან გამკლავებაში.

თანამედროვე განათლების სისტემის განუყოფელი ნაწილია სოციალური ინკლუზია. კვლევებით დასტურდება, რომ თანატოლების აქტიური მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებაში ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეების სრულფასოვან ჩართულობასა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

თანატოლგანმანათლებლობა გულისხმობს, იყო პროცესის უშუალო მონაწილე და, ამავდროულად, ამ პროცესის აქტიური შემოქმედი. პარტნიორ სკოლებში თანატოლგანმანათლებლები, ფორმალური და არაფორმალური აქტივობებისა და ღონისძიებების მეშვეობით, თანატოლებს უზიარებენ ცოდნასა და გამოცდილებას, მასწავლებლებთან ერთად გეგმავენ თანატოლგანმანათლებლის მოდელზე დაფუძნებულ საინფორმაციო გაკვეთილებს (მაგალითად, ბულინგის კვირეული, ბავშვთა დაცვის დღე და ა. შ.), მონაწილეობას იღებენ სსსმ მოსწავლეების მშობლებთან შეხვედრებში, რის საფუძველზეც ქმნიან სოციალური ინკლუზიის მხარდამჭერ სამოქმედო გეგმას.

პროექტის პარტნიორი საბავშვო ბაღების მხარდაჭერა მორგებულია ასაკობრივი განვითარების ხელშეწყობაზე. ინდივიდუალური შემთხვევების კონსულტირების გარდა, სპეციალისტების/აღმზ-

მამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კარიტასი „გზამკვლევი სკოლებში ინკლუზიური განათლების გაუმჯობესებისთვის“ 2020 წელი.
2. საქართველოს კარიტასი „სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის ასისტენტის გზამკვლევი“ 2020 წელი.
3. საქართველოს კარიტასი „ინკლუზიური განათლების გზამკვლევი მშობლებისთვის“ 2020 წელი.
4. საქართველოს კარიტასი „მოსწავლის ქცევასთან დაკავშირებულ სიტუაციებთან გამკლავება სკოლაში“ 2020 წელი.

რდელების გაძლიერების მთავარ მიმართულებას წარმოადგენს სენსორული ინტეგრაციის მხარდაჭერა. შესაბამისად, მუშაობის სპეციფიკა გულისხმობს როგორც უშუალოდ ველზე მიმართულ კონსულტირებას, ასევე სპეციალისტებისთვის ტრენინგ მოდულებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას.

პროექტის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული გზამკვლევებისა და ტრენინგ მოდულების შემუშავება:

- გზამკვლევი სკოლებში ინკლუზიური განათლების გაუმჯობესებისთვის
- სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის ასისტენტის გზამკვლევი
- ინკლუზიური განათლების გზამკვლევი მშობლებისთვის
- ადრეული და სკოლამდელი განათლების გზამკვლევი
- სენსორული ინტეგრაცია

აღნიშნული გზამკვლევები განთავსებულია „საქართველოს კარიტასის“ ოფიციალურ გვერდზე (Caritas.ge)

„საქართველოს კარიტასმა“ შეიმუშავა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის პერსონალური ასისტენტის ტრენინგ მოდული, რომელიც გადაეცა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს. ცენტრის მიერ ბენეფიციართა გადამზადებამ აღნიშნული ტრენინგ მოდულის მიხედვით, ხელი შეუწყო ქვეყნის მასშტაბით დასაქმებული ასისტენტების კვალიფიკაციის ამაღლებას.

პროექტი ხორციელდება გერმანიის კარიტასთან თანამშრომლობითა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

www.tpdc.ge